გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№92 (848) 11 - 12 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# „არ ვიცი, იცის თუ არა ბატონმა პრემიერმა ამ ყველაფრის შესახებ და უთხარით მას!“



გვ. 3

## პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მშენებელი, აშშ-ს მოქალაქე მალხაზ ალავიძე აშშ-ს ელჩს დახმარებას სთხოვს და დავით ნარმანიას წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს!

## 18 სექტემბერს, ახალგორს ჩაკეტილ ზონად გამოაცხადებენ?!

„ვერსიის“ ახალგორელი წყაროს ინფორმაციით, ამ სკანდალურმა ამბავმა იქაური მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. ადგილობრივებს არ აწყობთ ახალგორის ჩაკეტვა — ეს ნიშნავს, რომ აიკრძალება რაიონში ქართულნომრიანი ავტომობილების გადაადგილება, პროდუქტების შეტანა და დაწესდება მთელი რიგი აკრძალვები; თუმცა მოსახლეობას იმედი აქვს, რომ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას სისრულეში არ მოიყვანს...




## შსს სექსუალური ხასიათის დანაშაულზე სასჯელს ამკაცრებს



გაუპატიურებაში ბრალდებულებს სასამართლო დარბაზიდან ველარ გაუშვებენ!

# მხოლოდ 40 თეთრი

## გიორგი მარგველაშვილი: „ჩვენ ვთქვით, რომ ყველა ბავშვს ექნება უფასო სახელმძღვანელო და ასეც იქნება



რა შემთხვევაში დაურიგებს მოსწავლეებს ნახმარ წიგნებს განათლების სამინისტრო გვ. 8

## ნოდარ ხადური: საქართველოში 0%-იანი ინფლაციაა

სახელმწიფო ხაზინაში 755 მილიონი ლარის რეზერვია გვ. 5

## „შესაძლოა, კოალიციაში ვილაცებს ჩემი განცხადება არ მოეწონოს, მაგრამ...“



რაში არ ეთანხმება ბიძინა ივანიშვილს თანაგუნდელი სოსო ჯაჭვლიანი გვ. 5

## „პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს! არ შეიძლება, სუფრასთან ორი თამადა იყოს“

პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ (გელა) სალუაშვილის პოლიტიკური წინასწარმეტყველება გვ. 7

## „დასეტყვილ ყურძენში 1 ლარს არავინ გადაგვიხდის და ისევ მოტყუებულები დავრჩებით“

რატომ არ აქვთ მევენახეებს სახელმწიფო სუბსიდიის იმედი და რა არგუმენტებით პასუხობს მათ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გვ. 8

# 18 სექტემბერს, ახალგორს ჩაკეტილ ზონად გამოაცხადებენ?!



## სააპელაციო სასამართლომ სალომე ზურაბიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად ვერ დარეგისტრირდება. სააპელაციო სასამართლომ ზურაბიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სალომე ზურაბიშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას მოითხოვდა, რომლის მიხედვითაც, ცესკო-მ მას ორმაგი მოქალაქეობის გამო საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი უთხრა.

ზურაბიშვილმა დოკუმენტი გაასაჯაროვა, რომელიც საფრანგეთის საელჩოში ჰქონდა შეტანილი და პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში, მზად იყო, საფრანგეთის მოქალაქეობა დაეთმო: **„ აქამდე ვემორჩილებოდი კანონს, რომელიც მეუბნებოდა, თუ რა უნდა გამეკეთებინა კანდიდატად რეგისტრაციისთვის და რა უნდა გამეკეთებინა პრეზიდენტობისათვის. ამიტომ სხვა ნაბიჯი არ გადამიდგამს, თუმცა საფრანგეთის საელჩოში შევიტანე (მოქალაქეობის) დათმობის თხოვნა, რომელიც დაკმაყოფილებული იქნებოდა იმდღესვე, როცა საქართველოს მოსახლეობა ამირჩევდა პრეზიდენტად. ეს არის მტკიცებულება, მაგრამ არ გამოვდივარ ორმაგი მოქალაქეობიდან. ამას დავუბრუნებ საფრანგეთის საელჩოს, რადგან მიმაჩნია, რომ ამ ქვეყანაში არის ბევრი ემიგრანტი, რომელთაც აქვთ ასევე ორმაგი მოქალაქეობა და არ არის სწორი, რომ ეს იყოს უარყოფილი დღევანდელ საქართველოში“.**

პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარის თქმის მიზეზად ცესკო-მ კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლები დაასახელა. ცესკო-ს განმარტებით, „საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად, უცხო ქვეყნის მოქალაქეა“.

***„ინტერპრესნიუსი“***



## ასლან სმირბა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისგან თანხის გადახდას მოითხოვს

ბათუმის ყოფილი მერი ასლან სმირბა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისგან ბათუმში, რესტორან „სანაპიროს“ გასხვისებისას შეთანხმებული თანხის გადახდას მოითხოვს. სმირბას თქმით, რესტორანი მილიონ ლარად პატარკაციშვილის სასარგებლოდ, ზურაბ ადეიშვილის ინიციატივით, 2005 წელს დათმო, თუმცა კუთვნილი თანხა ამ დრომდე არ მიუღია: **„ეს ბიბლია იმიტომ მოვიტანე, რომ მინდა, ღმერთის წინაშე დავიფიცო, მე ერთი თეთრიც არ მიმიღია ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისგან. ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე რუსთავის მეტალურგიული ქარხნისთვის, ჩხარტიშვილთან ფინანსური დარღვევების გამო, „იმედის“ ტელევიზიის გამო იბრძვის და უნდა, დიდი ფული ნახოს. რა გახდა ასლან სმირბასთვის ეს 400-450 000 დოლარის გადახდა“.**

მისივე თქმით, პროკურატურაში განცხადება უკვე შეიტანა და საქმეს აჭარის საგამოძიებო სამსახური იძიებს.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ოსებს იზოლაცია არ აწყობთ... რუსებს კი ახალგორის ჩაკეტვის ორი სერიოზული მიზეზი აქვთ




დავით დევიძე
593-219-042

18 სექტემბრიდან ახალგორი შეიძლება ჩაკეტილ ზონად გამოცხადდეს! — „ვერსიის“ ახალგორელი კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ამ სკანდალურმა ამბავმა იქაური მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. არც ერთ ადგილობრივს, მიუხედავად ეროვნებისა, არ აწყობს ახალგორის ჩაკეტვა — ეს ნიშნავს, რომ აიკრძალება რაიონში ქართულნომრიანი ავტომობილების გადაადგილება, პროდუქტების შეტანა და ასევე დაწესდება მთელი რიგი აკრძალვები; თუმცა ახალგორის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ ბოლო მომენტში ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას სისრულეში არ მოიყვანს. ამის იმედი აქვთ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ ოსებსაც. საქმე ისაა, რომ ახალგორის რაიონი, ძირითადად, მარაგდება თბილისიდან. ის მცირე რაოდენობის პროდუქტი, რაც აქ ცხინვალიდან შემოდის, ხარისხით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის და გაცილებით ძვირიცაა, ამიტომ საქართველოსთან ურთიერთობას ახალგორისთვის, გადაჭარბების გარეშე, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამ ფონზე საინტერესოა, ვისგან მოდის ახალგორის ჩაკეტვის იდეა?

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ლეონიდ თიბილოვმა მიიღო. ამას ფიქრობს ახალგორელთა უმრავლესობა. „ვერსიის“ წყარო კი ამბობს, რომ რაიონის იზოლაცია ოსების ადმინისტრაციას ნაკლებად აწყობს. ჯერ ერთი, ლეონიდ თიბილოვი მსგავს გადაწყვეტილებას რუსების გარეშე ვერ მიიღებს. მეორე — თბილისიდან ახალგორში ყოველდღე შედის ხილბოსტნეულითა და სხვადასხვა საკვები პროდუქტით დატვირთული 30 სამარშრუტო ტაქსი, ახალგორის ბაზრობაზე ტვირთის შეტანისას, თითოეულის მძღოლი იხდის 100 ლარს. ადგილზე იყიდება პროდუქტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. დანარჩენი მიდის ცხინვალში. ბაზრიდან შემოსულ ფულს კი, თავად თიბილოვის კლანი აკონტროლებს. ცხინვალის „პრეზიდენტს“ დაცვის უფროსად ჰყავს საკუთარი სიძე ბეკოევი. სწორედ მის ხალხს ეკუთვნის ახალგორის ბაზრობა და ძნელი ამოსაცნობი არ არის, ვისთან მიაქვს სიძეს აქედან ამოღებულ ფული. ყველა ამ არგუმენტს თუ შევაჯერებთ, მივიღებთ მოცემულობას — ოსებს არანაირად არ აწყობთ ახალგორის იზოლაცია.

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, საინტერესო პოზიცია რუსებს აქვთ: ისინი მოსახლეობას ეუბნებიან, გააპროტესტეთ, ხელმოწერები შეაგროვეთ და თიბილოვი ახალგორის ჩაკეტვას ველარ გაბედავსო. ხალხიც აგროვებს ხელმოწერებს. ასეთი ხელმოწერები საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისგანაც შეგროვდა. მოკლედ, რუსები და ოსები, ერთმანეთს აბრალებენ ახალგორის იზოლაციის გადაწყვეტილებას. რუსეთთან ურთიერთობისას მიღებული გამოცდილების ფონზე, რუსეთის მსგავსი ვირეშმაკობა ჩვენთვის მაინცაა ადვილად ამოსაცნობი. თიბილოვი ფულს არ შეელევა, რუსეთი — მშვიდობისმყოფელის იმიჯს. ამ ფონზე, ახალგორში, ადგილობრივებს იმედი აქვთ, რომ საბოლოოდ, ისინი ვერ შეთანხმდებიან და 18 სექტემბერს გამოაცხადებენ, ახალგორის ჩაკეტვის იდეა გადაიდოო. ამით რუსები დანარჩენ მსოფლიოს დაანახებენ, თითქოს კონფლიქტის გამწვავებას ერიდებიან. რუსები ხომ, ჯერჯერობით, ყველაფერს აკეთებენ, რაც სურთ. ამ დიდ პოლიტიკურ თამაშში კი, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სათავეში მყოფი ოსები მარიონეტები არიან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვერც ჩვენ ვასრულებთ სახარბიელო როლს — მხოლოდ სტატისტობა გვერგო.

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რამდენად მოსალოდნელია, კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამართლდეს და 18 სექტემბრიდან ახალგორი მართლაც მოექცეს იზოლაციაში. ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი **ირაკლი ცქიტიშვილი** არ გამორიცხავს, რომ მსგავსი გეგმა მართლაც არსებობდეს და ამას ორი გარემოებით ხსნის: **„1. რუსეთი ოლიმპიადის წინ კეტავს ყველა ზონას, სადაც ძნელია ადამიანთა ნაკადის გაკონტროლება. ანუ, სურს შეზღუდოს სოჭში იმ ადამიანთა მოხვედრა, რომლებიც აღრიცხული არ ჰყავს. 2. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევი რამდენჯერაც ჩავიდა ცხინვალში, იმდენჯერ ეწვია ახალგორს. ეს მეტყველებს, რომ რუსები აქ აშენებენ ისეთ საიდუმლო ობიექტს, რომლის გარეშე თვალისგან დაფარვა სურთ. ასე რომ, უსიამოვნოა, მაგრამ სამომავლოდ, ახალგორის დანარჩენი საქართველოსგან კიდევ უფრო იზოლირებას, ალბათ, უნდა ველოდეთ“.**

## ვერსიანიუსი

### დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბს ალექსანდრე კვიტაშვილი უხელმძღვანელებს



ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბს თსუ-ს ყოფილი რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი უხელმძღვანელებს. კვიტაშვილი საარჩევნო შტაბის უფროსად ბაქრაძემ თავად წარადგინა: **„ჩემი და ჩემი გუნდის სურვილი იყო, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ყოფილიყო ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში იქნებოდა ცნობილი რეპუტაციით, წესიერებით, კომპეტენტურობით, ცოდნით; არ იქნებოდა დაკავშირებული სკანდალებთან, არეულობასა და საზოგადოების დაპირისპირებასთან. გვინდოდა, მისაღები ფიგურა ყოფილიყო იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც მას არ ეთანხმება. ეს ადამიანი არის სანდრო კვიტაშვილი, რომელიც იქნება ჩემი საარჩევნო კამპანიის შტაბის უფროსი“.** კვიტაშვილი იმედოვნებს, რომ ბაქრაძის საარჩევნო კამპანიაში საკუთარ წვლილს შეიტანს: **„დავით ბაქრაძე გამოცდილი პოლიტიკოსია. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია, ნებისმიერი კატეგორიის პოლიტიკოსთან გამონახოს საერთო ენა და რაც მთავარია, იყოს მომავალში საქართველოს ევროატლანტიკური მიმართულების შენარჩუნების გარანტი. იმედი მაქვს, ჩემს წვლილს შევიტან მის საარჩევნო კამპანიაში“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

### პრეზიდენტობის კანდიდატები აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილეს შეხვდნენ

პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი წინასაარჩევნო დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე თომას მელია ხელმძღვანელობდა. შეხვედრა დახურულ კარსმიღმა გაიმართა. ოფიციალური დელეგაციის წევრებმა და პრეზიდენტობის კანდიდატებმა წინასაარჩევნო ვითარებასა და მასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს. როგორც კანდიდატები აცხადებენ, ისაუბრეს პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლის კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებას.

***„ექსპრესნიუსი“***

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „არ ვიცი, იცის თუ არა ბატონმა პრემიერმა ამ ყველაფრის შესახებ და უთხარით მას!“



## პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მშენებელი, აშშ-ს მოქალაქე მალხაზ ალავიძე აშშ-ს ელჩს დახმარებას სთხოვს და დავით ნარმანიას წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს!

**პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მშენებლობის სკანდალი გრძელდება. რამდენიმე დღის წინ, კომპანია „არტესის“ ახალმა მფლობელმა, აშშ-ს მოქალაქე მალხაზ ალავიძემ განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას პროექტის უკანონოდ ჩამორთმევის გამო სასამართლოში უჩივლებს. მალხაზ ალავიძემ „არტესის“ 100%-იანი წილი 2013 წლის 28 იანვარს იყიდა, როცა „არტესთან“ დაკავშირებული სკანდალის კიდევ ერთი გმირი, გია ნაცვლიშვილი კომპანიაში მიწვეულ კონსულტანტად უკვე აღარ მუშაობდა. მალხაზ ალავიძე სკანდალს „ვერსიისთვის“ ექსკლუზიურად მიცემულ ვრცელ ინტერვიუში აგრძელებს და აცხადებს, რომ საქმის კურსში აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი უკვე ჩააყენა, შეშინებული დავით ნარმანია მის კომპანიას ხელს ტყუილად ახოცავს და პრემიერს რეაგირებისკენ მოუწოდებს.**

— შემოთავაზება „არტესის“ დამფუძნებლის, ზაზა კაპანაძისგან მივიღე, რომელიც დღეს აღარაა კომპანიაში ისევე, როგორც გია ნაცვლიშვილი. აშშ-ში ვცხოვრობ, დამირეკეს, მითხრეს, რომ არის ბიზნესი, რომელიც იყიდება და ჩამოვედი. ამ ბიზნესის გარდა, მათ კიდევ რამდენიმე ბიზნესი აქვთ და ერთ-ერთში, დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზეა საუბარი, ასევე, პარტნიორები ვართ. ეს ჩვეულებრივი ბიზნესგარიგება იყო და მე, როგორც ბიზნესმენს, უფლება მქონდა, კომპანია მეყიდა.

**— ისიც ვაღიაროთ, რომ ეს კომპანია ძალიან იაფად, 1,3 მილიონად გიყიდიათ.**

— კი, ძალიან კარგ თანხად შემომთავაზეს. ეს ძალიან სერიოზული კომპანია იყო თავისი აქტივებითა და პასივებით, მაგრამ დიდი პრობლემებითაც, ამიტომ აუდიტორული ფირმა დავიქირავე და ზუსტად ერთი თვე მოვუნდით ყველაფრის შემოწმებას, რაშიც 18 000 ლარი დავხარჯე. ამ ფირმამ დადო დასკვნა, რომ კომპანია ნამდვილად ღირს 1,3 მილიონი და მეც ვიყიდე.

**— უხეშად ვიკითხავ — ეს ფირმა ასე იაფად იმიტომ ხომ არ „შემოგტენეს“, რომ ახალ ხელისუფლებასთან ვერ თანამშრომლობდა?**

— აბსოლუტურად არაფერია ამ კითხვაში უხეში. მეგონა, ამ ქვეყანაში ძველი დრო დამთავრდა. იმედი დღესაც არ დამიკარგავს, რომ კომპანიას უსამართლოდ არ დამიჩაგრავენ. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, და მისდა სამწუხაროდ, ბატონმა დავით ნარმანიამ უსაფუძვლო გადაწყვეტილება მიიღო! მისი წინამორბედი, ბევრად კომპეტენტური იყო. საქმე ხომ შედეგით იზომება. არადა, გულითა და სულით მინდა, ნარმანია იქნება თუ რომელიმე ახალი მინისტრი, წარმატებული იყოს. ამ იმედით მოვედით აქამდე! ჩემს ქვეყანაში ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩამოვედი, რადგან მანამდე სამართლიანობის პრინციპი დაცული არ იყო...

**— ახლა ეს პრინციპი დაცულია?**

— ასე არ შეიძლება! ბატონ დავითს ნამდვილად ჰქონდა შიში და ეს არც დაუმალავს: პრეზიდენტის სასახლე უნდა გაკეთდეს, ვადები არ უნდა დაირღვეს, ეს უნდა იყოს პრიორიტეტიო. ჩემთვისაც ნამდვილადაა პრიორიტეტი, იმის მიუხედავად, გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს თუ ნინო ბურჯანაძე. თუმცა მაინც იმედი მაქვს, მარგველაშვილი მოიგებს. თვითონ ნარმანიაც აღიარებს, რომ მშენებლობის პროექტი არ აქვს. ყოველდღე მიცვლიან მშენებლობის გეგმასაც. აი, ეტყვიან ჩემს მენეჯერს, ილო ცხოიძეს, იცი რა, დღეს მესამე ლიფტის შახტა დაგემატაო. ან მირეკავენ და მეუბნებიან, დაცვის სამსახურმა გადაწყვიტა, აქ კიდევ ერთი ლიფტი დაამატოს, რადგან ასე სჭირდება პრეზიდენტის სასახლესო. მერე მეუბნებიან, აქ უნდა იყოს ტყვიაგაუმტარი მინებიო — ეგეც არაა პრობლემა. თურმე, დაცვის სამსახურმა გადაწყვიტა, რომ მეზობლად ორი კორპუსი რეზიდენციის ეზოს გადმოჰყურებს და ესეც არ შეიძლება.

**— ეგ პროექტი ჯერ დაცვის სამსახურმა რომ დაასრულოს და მერე განაგრძოთ მშენებლობა, ასე არ გამოვა?**

— მე მეტს კი არაფერს ვითხოვ!

> **მარჯვენა და მარცხენა ფლიგელის მეზობლად მოსახლეობა ცხოვრობს და არ შეიძლება, მათი საცხოვრებლის ფანჯრები პრეზიდენტის სასახლის ეზოში გამოდიოდეს. პროტოკოლით ასეა გათვალისწინებული — არ შეიძლება, ვიყო ვილაც სიმონა და ვხედავდე, აუ, ჩემს პრეზიდენტთან ობამა ჩამოვიდაო. თვითონ ეს პროექტი სახელმწიფოს მხრიდან არაა დახვეწილი და არ შეიძლება, ჯოხი მარტო ჩემს კომპანიაზე გადატყდეს!**

**— გარდა იმისა, რომ შენობა ორბელიანების სასახლეა, ჯერ აშშ-ს ყოფილი საელჩო იყო, მერე კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, შემდეგ პრემიერის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, ახლა — პრეზიდენტის რეზიდენცია ხდება. ეს ყველაფერი რა ხარჯებთანაა დაკავშირებული?**

— ჩვენი პროექტი, თავიდან ბოლომდე, 21 მილიონი ლარი ჯდება. მეამაყება, რომ რაღაც კეთდება, არ აქვს მნიშვნელობა, მე გავაკეთებ თუ — სხვა, უბრალოდ, გული ერთადერთ რამეზე მწყდება და ამას ხმამაღლა ვამბობ: მინისტრის განცხადება უპასუხისმგებლო იყო და საკუთარი შეცდომების გამოც ხომ არ შეიძლება, მარტო მე მეჩხუბო?!

> **მიშა სააკაშვილს პირადად ძალიან კარგად ვიცნობ. უტიფარი კაცი იყო — შეეძლო, ვიღაცასთან საჯაროდ ეჩხუბა. მიუხედავად იმისა, რომ მიშას დროს ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და დღესაც დარწმუნებული ვარ, თავისი ქვეყნისთვის კარგი უნდოდა, ეს უტიფრობა ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით, თბილისელებმა არ აპატიეს. ხომ არ შეიძლება, დღეს მინისტრმაც იგივე უტიფრობა გამოავლინოს?! ან მე საერთოდ რაზე მელაპარაკები, როცა ერთი წელია, მინისტრი ხარ და საერთოდ არაფერი გაგიკეთებია! მინდა, დავით ნარმანიაც, ირაკლი ალასანიაც, ბუკა პეტრიაშვილიც, რომელიც ჩემი მეგობარია, წარმატებულები იყვნენ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ყველაფერზე ხელი მე შემახოცონ? რა დავაშავე?!**

არქიტექტურული ნახაზი არ მაქვს, მშენებლობის პროექტი არ მაქვს, მოდიხარ და მეუბნები, ეს უნდა გააკეთოო და ვაკეთებ — აი, ასე ვმუშაობ, როგორც, ჩვენდა სამწუხაროდ, ნაციონალების დროს მუშაობდნენ. გულითა და სულით მინდა, ეს ამბავი პრემიერმაც გაიგოს!

**— ნარმანიას თავს ცალმხრივად ესხმით, არადა, მინისტრმა თქვა, რომ 16 მილიონი უკვე გადაგიხადათ და ამ თანხის შესატყვისი სამუშაო არ შეგისრულებიათ. ასეა?**

— ნარმანიას იცით, რა უთხარით — შენ არაფერი გადაგიხდია-თქო. შენ 16 მილიონი ახლაც არ გაქვს ანგარიშზე-თქო.

> **მივმართავ ნარმანიას ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით: შენ ფული არ გაქვს! მართლა ჩაირიცხა ამ უპატრონო კომპანიის ანგარიშზე 16 მილიონი, რომელიც არც მე მინახავს და არ დავით ნარმანიას. ორივე „აუტსაიდერები“ ვიყავით, ახლა ვეუბნები ნარმანიას — ამ 16 მილიონს წინ დაგილაგებ, ოღონდ, ტყუილად ნუ დამჩაგრავ-მეთქი, მაგრამ არ ესმის! მაგ 16 მილიონიდან 11 მილიონი ქვეკონტრაქტორებს გადაუხადეს — ეს ფული ავანსებზე, ლიფტებზე, კონდიცირებაზე წავიდა, მარტო ავეჯი 5 მლნ დაჯდა.**

**— როცა პროექტი თქვენ ჩაგბარდათ, მშენებლობა რა დონეზე იყო მისული, ან ამ 16 მილიონს წინ როგორ დაულაგებთ?**

— ჯერ ერთი, საერთოდ, სამარცხვინო იყო ნაციონალების დაწყებული მშენებლობის გაგრძელებამდე გაკეთებული განცხადებები — ფუფუნების უფლებას თავს ვერ მივცემთო, მაგრამ ახალი ხელისუფლება მოვიდა და მშენებლობა გააგრძელა. ეგ განცხადება საერთოდ რა გასაკეთებელი იყო, ორბელიანების სასახლე ხომ მიშასი არ არის და მისი მშენებლობა მაინც უნდა დასრულდეს?! მიმაჩნია, დავით ნარმანიამ გადაწყვიტა, რომ ჩემი კომპანია აბსოლუტურად უსაფუძვლოდ უნდა დაეჩაგრა.

**— თქვენს კომპანიას მეტისმეტად „ნაციონალური“ ბეგრაუნდი აქვს: სიღნაღის რეაბილიტაცია, ქუთაისის მოედანი, ალმაშენებლის გამზირი და ა.შ. ყველა ის პროექტი, რითაც სააკაშვილი ამაყობს, მას უკავშირდება. რატომ უნდა აუშენოს ასეთმა კომპანიამ „ივანიშვილის ახალ პრეზიდენტს“ რეზიდენცია — ამ „ჩაგვრაში“ პოლიტიკურ მოტივს ვერ ხედავთ?**

— რაბათის ციხეც ამ კომპანიამ ააშენა, თელავიც, მცხეთაც — აბსოლუტურად გეთანხმებით. პოლიტიკურ მოტივს როგორ ვერ ვხედავ და გეტყვით ერთ რამეს:

> **ყოფილმა დამფუძნებლებმა წასვლის წინ ასევე პოლიტიკური განცხადება გააკეთეს, რადგან ამ მოტივს ისინიც ხედავდნენ — აბა, 600-მილიონიანი ბრუნვის მქონე კომპანია 1,3 მილიონად რატომ გაიყიდებოდა?! ბიზნესს პოლიტიკოსების შეცვლა არ უნდა ეხებოდეს და როდემდე უნდა ვიცხოვროთ უწესო ქვეყანაში — დავიღალე! ღმერთმა დამიფაროს, გასაქცევად მქონდეს საქმე, თორემ მე გასაქცევი კი მაქვს, უბრალოდ, გაქცევას არ ვაპირებ!**

ჩემი კომპანია ფინანსურმა პოლიციამაც შეამოწმა და შემოსავლების სამსახურმაც — ხომ გავიარეთ ეს ყველაფერი, კიდევ რაღაც დარტყმების ქვეშ რატომ გვაყენებენ?!

**— როგორც ვიცი, საუბარია თქვენი მხრიდან ვადების გადაცილებაზეც, თუმცა თუკი თქვენ ვადა 1 ნოემბრამდე გქონდათ და შენობის დასრულება ასე ეჩქარებოდათ, გაუგებარია, ახალ კომპანიას ვადა 1 მაისამდე რატომ გადაუწიეს?**

> **— ახლა ეს ორმაგი სტანდარტი არ არის? 1 ნოემბრამდე მაგ პროექტს, თავის დამატებებით, დედამიწის ზურგზე მაინც ვერავინ მოასწრებდა. ნარმანიას სიტყვა ჰქონდა ნათქვამი, რომ რეზიდენციას 1 ნოემბერს დაასრულებდა, მაგრამ მე რა შანსიც მაქვს, ახლავე ქალად ვიქცე, ისეთივეა ამ შენობის დასრულების შანსიც! პრეზიდენტი ტუალეტში ხომ უნდა შევიდეს, ნოემბერში რომ დაჯდება იმ შენობაში, ხომ უნდა გათბეს, თბილმა ჰაერმა ხომ უნდა დაუბეროს?! ელემენტარულად, კამბოჯას პრეზიდენტი რომ მოგადგება რეზიდენციასთან, ვიღაც მეზობელმა თავზე ხომ არ უნდა გადმოგაშარდოს, გადმოგაფურთხოს, ან სიგარეტის „ბიჩოკი“ გადმოგიგდოს?! ჩემი ეზოა და თუ მინდა, „გარშოკიდან“ გადმოვასხამ რაღაცაც, მაქსიმუმ, მერიამ დამაჯარიმოს!**

**— ისე, იმ სამეზობლოს რას უპირებდით, გასახლებას?**

— ეგეც კი არ იყო შეთანხმებული. მინიმუმ, მაცხოვრებლისგან ფართი ხომ უნდა გამოისყიდო?! გული მარტო იმაზე მწყდება, რომ ამ შენობის ირგვლივ არსებული საქმეების 80 % სამინისტროს დასალაგებელი იყო და მე რატომ მომახრჩეს?!

*დასასრული მე-4 გვერდზე*

სკანდალური ექსკლუზივი




## „რაკიინ დეველოპმენტის“ ყოფილი დირექტორი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით თანხების მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტებზე, შპს „რაკიინ დეველოპმენტისს“ და შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ ყოფილი დირექტორი გელა მიქაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ გელა მიქაძემ, როგორც შპს „რაკიინ დეველოპმენტის“ დირექტორმა, საწარმოს დამფუძნებლების, არაბი ინვესტორების თანხმობის გარეშე, 2011 წლის 10 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით მართლსაწინააღმდეგოდ, მის მიერ რეგისტრირებულ არარეზიდენტ კომანდიტურ საზოგადოება „ბესტფორდ დეველოპმენტ ელ-ელ-ფი“-ზე, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადააფორმა 16 940 000 ლარის ღირებულების შპს „რაკიინ დეველოპმენტის“ 8.47%-იანი წილი. მანვე, როგორც შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ დირექტორმა, 2011 წლის 30 აგვისტოს და 2012 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებებით, მართლსაწინააღმდეგოდ მის მიერ რეგისტრირებულ არარეზიდენტ კომანდიტურ საზოგადოება „მენლაინ პროჯექთს ელ-ელ-ფიზე“ სიმბოლურ ფასად, ასევე 1 ლარად გადააფორმა 30 000 000 ლარის ღირებულების შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ 15%-იანი წილი და 3 300 000 აშშ დოლარის ღირებულების შპს „რაკია საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ 15%-იანი წილი.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ 2008 წლის 18 ივნისს შპს „რაკიინ დეველოპმენტსა“ და შპს „მთაწმინდის პარკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მთაწმინდის პარკის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, რომლის შესაბამისადაც, შპს „რაკიინ დეველოპმენტმა“ 2008-2011 წლებში თბილისის მთაწმინდის პარკში განახორციელა დიდი ოდენობით ინვესტიცია. 2012 წლის 3 მაისს მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, შპს „თბილისის პარკს“ მართვის უფლებით გადაეცა მთაწმინდის პარკი, რის სანაცვლოდაც, აღნიშნულ შპს-ს 12 000 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. გელა მიქაძის მითითებით, შპს „თბილისის პარკის“ მიერ გადმორიცხული 6 000 000 დოლარიდან 5 700 000 დოლარი გადარიცხული იქნა გ. მიქაძის გამგებლობაში არსებული კომპანიების კომანდიტური საზოგადოება „ბესფორდ დეველოპმენტ ელ-ელ-ფისა“ და შპს „ლაბეი დეველოპმენტის“ საბანკო ანგარიშებზე, იმის ნაცვლად, რომ ზემოხსენებული თანხა გადარიცხულიყო შპს „რაკიინ დეველოპმენტში“. აღნიშნული ქმედებებით, გ. მიქაძემ არაბული საინვესტიციო კომპანია რაკიინის 52 385 000 ლარის ღირებულების წილები და ფულადი თანხა 5 700 000 აშშ დოლარი მიითვისა. ეს კომპანიები საქართველოში ფლობენ შემდეგ აქტივებს: სავაჭრო ცენტრი „თბილისის მოლი“, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა...

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც თავისუფლების 7-დან 11 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს“.

*„პირველი“*

# „არ ვიცი, იცის თუ არა ბატონმა პრემიერმა ამ ყველაფრის შესახებ და უთხარით მას!“

*მე-3 გვერდიდან*

**— აქ ისაა საინტერესო, თქვენს მერე რომელ კომპანიას უნდა გადაეცეს ეს პროექტი?**

— არ ვიცი, არც მიკითხავს და არც მაინტერესებს. რომ ვიცოდე, ნარმანია ამ პროექტს სხვას პირადი ინტერესის გამო აძლევს, აუცილებლად ვიტყოდი, მაგრამ მართლა არ ვიცი. ახლა მაგარ რამეს მოგიყვებით: მე და დავით ნარმანია რეზიდენციის შენობის მეხუთე სართულზე ვიდექით, კამერების გარეშე და მეუბნება — თქვენ ფინანსური პრობლემები გაქვთო. ვუთხარი, დათო, გავიწყდება, რომელი ქვეყნის მინისტრი ხარ-მეთქი? ჩრდილოეთ კორეასაც კი შეუძლია დარეკოს და გითხრას, შე მათხოვარო, შენზე ღარიბი ქვეყანა არ არსებობს, ერაყიც შენზე წინააო. ამიტომ, დათო, არ შეიძლება, ამ ქვეყანაში სიღარიბეზე მელაპარაკო — იმ დონეზე არ მიჭირს, მაგრამ რასაც შენ მავალებ, ვერ გავაკეთო-მეთქი. ამ ქვეყანაში არავის ულხინს, ერთი, ბიძინას ულხინდა და უკვე მასაც ჩასწყდა გული. რას მაძახებ-მეთქი, საქმეს ვაკეთებ! ვერაფერი ვერ მიპასუხა და მერე, ოფიციალურად, სულ სხვა რამ მოვისმინე... რაც მინისტრად მოვიდა, მას მერე 16 მილიონი არ დახარჯულა ინფრასტრუქტურის სამინისტროში... ბოლო 30 წელია, სიმართლით არ ვცხოვრობთ და ამას ყოველდღე ვიმკით... ნარმანია სხვას ვერავის პასუხს ვერ სთხოვს, მოდის და ისევ მე მერჩის... მირტყამს, მერევა, სურს, ეს კომპანია დააქციოს.

**— გაუგებარია, რას ამტკიცებს ამით და იქნებ, საქმე ნარმანიაში სულაც არაა?**

— არ ვიცი. მე ნელსონ მანდელას მიმდევარი ვარ. იგი ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელმაც პოლიტიკა გულით აკეთა და რომ უთხრა, პოლიტიკა ბინძური საქმეაო, შეიძლება, თავი შეგაკლას.

„ნაციონალებში“ ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ, ღმერთმა იცის, რა დანასისხლად ვმტრობდი მათ. რაც უნდა ააშენო, არ მაინტერესებს, როცა ადამიანის უფლებებს ლახავ. დიდი ხანია, ამის მიმართ პროტესტი მაქვს, 2007 წელს გავბრაზდი, მერე 26 მაისს. ნინო ბურჯანაძესაც ძალიან კარგად ვიცნობ, ბადრი ბიწაძესაც, ანზორიკოსაც, თუმცა პოლიტიკურად არანაირად არ ვემხრობი. ვფიქრობ, ნინომ, თავისი შანსი გაუშვა. რომ იცოდეთ, მე და მიშა სააკაშვილი პარლამენტში ერთ გუნდში ვთამაშობდით ფეხბურთს. დიეგო მარადონა ვიყავი დონდლო მიშასთან შედარებით.

**— პარლამენტის გუნდში თქვენ რა გინდოდათ?**

— უმრავლესობის ფრაქციის აპარატის უფროსი გახლდით 23 წლის ასაკში და პარლამენტის გუნდში თამაშის უფლება მქონდა. ხელფასიც გადასარევი მქონდა. მერე, ჩემდა სამწუხაროდ, ინციდენტი მომივიდა, ვიღაც დავჭერი და ქვეყნიდან წავედი.

**— ე.ი. ამერიკაში „პაბეგში“ იყავით და ვინ დაჭერით ასეთი, ან საქმე დაიხურა?**

— რა მნიშვნელობა აქვს — „დავუპაბეგე“, რა! მაშინ სამართლიანად მოვიქეცი და დღემდე ყველას ასე მიაჩნია, ვინც ეს ამბავი იცის. სხვათა შორის, ფოთის პორტი მაშინ ერთადერთი მომგებიანი სახელმწიფო სტრუქტურა იყო და ამ პორტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც ვიყავი, მერე „დინამო“ თბილისის კომერციული დირექტორი და დირექტორატის წევრი. მე პოლიტიკოსი კი არა, „სიმართლისტი“ ვარ. დავიბადე კონკაზე, ჩემი ცხოვრება მიყვარს, ჩემი მეზობლები, ძმაკაცები.

**— აბა, რაღას გარბოდით აშშ-ში?**

— არსად გავქცეულვარ. ჩემს შვილებს შიოდათ და კიდევ ერთ ზედმეტ კაცად არ დავაწექი ქვეყანას — არც მომიპარავს, არც კაცი „გამიუთავებია“, მით უმეტეს, სერიოზული „ძველი




ბიჭი“ ვიყავი და ამას დიდუბეში სადაც გინდათ, იქ ვიტყვი, მაგრამ უკადრებელი არასდროს მიკადრია. ჩემი კუჭის გასაძღომად არავინ დამიჩაგრავს.

... თავად ნარმანიას კარგად ვიცნობ და ამაზე მწყდება გული — როცა ადამიანს ვიცნობ, მესამე პირის ჩარევა მერიდება ხოლმე. დათო ცოდოა, ეშინია, დაიძაბა, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც მას უნდა, მაგრამ ჩემი ბრალი ხომ არ არის?! ეტყობა, სკამი და თანამდებობა მართლა ისეთი თბილია, არ ეთმობა. აგერ, ჩემს სკამზე ვზივარ, აქედან ვერავინ გამაგდებს... გულითა და სულით, ალალად გეუბნებით ყველაფერს. ერთი კარგად ნამღერი სიმღერა მთელ შემოსავალსაც მირჩევნია და გასავალსაც.

**— ეს ძალიან არაბიზნესმენური ფრაზაა.**

— სულით არანაირად არ ვარ ბიზნესმენი. მე ვარ ადამიანი, რომელსაც მაქვს ვალდებულება, ჩემი ნაშოვნი ორი კაპიკი ჩემს შვილებს, მეუღლეს, დედ-მამას, ძმას და ძმაკაცებს გავუყო. არიან ტიპები, ვისაც ბიზნესი სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ ეს მე არ მეხება. ბიუჯეტშიც ძალიან კარგი გადამხდელი ვარ, ამიტომ ნარმანიას კიდევ ვაძლევთ შანსს.

**— აქეთ თქვენ აძლევთ შანსს, როცა ცნობილია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში უნდა მიიღოს?!**

**— დიახ, აქეთ ვაძლევთ შანსს, ოღონდ მე, მალხაზ ალავიძე კი არა, ჩემს უკან მდგომი 100-ობით ადამიანი, რომელიც მაგრად მუშაობდა. ჩვენ ყველა მუშას მაინც ავუნაზღაურებთ თავის ნაშრომს — დღე-ღამეს ვასწორებდით და ამაყები ვიყავით, რომ პრეზიდენტის რეზიდენციას ვაშენებდით. არ ვიცი, იცის თუ არა პრემიერმა ამ ყველაფრის შესახებ და უთხარით მას!**

წასულიყო იმ ავლაბარში, ახალი პრეზიდენტი! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 1 ნოემბრამდე ჯერ კიდევ რამდენი დროა, იქნებ, გავგიჟდი, თავზე ხელი ავიღე და დათქმულ ვადაში ყველაფერს ვასწრებ, ან საქმეს 3 დღეში ვამთავრებ?! ნახევარი მილიონი ლარის ვალიც მაქვს მშენებლობის დასრულების საგარანტიო წერილით აღებული და ახლა შენ რომ საქმიდან მიშვებ და ამის გამო ბინებს მიყადაღებენ, ვერსადაც ვერ წავალ, უნდა ვიბრძოლო, ვიომო და მოვიგო! ვიღაცას რომ აძლევ ამ პროექტს პირველ მაისამდე, მე მომეცი 1 მარტამდე, შე არაადამიანო, რა, სახეზე არ მოგწონვარ?!

**— საპასუხოდ, გავრცელდა თქვენი განცხადება, რომ სასამართლოში ჩივილსაც აპირებთ.**

— ეგ ჩივილია? სარჩელის შეტანა ჩივილია? დამიჯერეთ, მტრულად არ ვარ განწყობილი, უამრავ მეგობართან დავრეკე და ვთხოვე, ყველაფერი კარგად დასრულდეს. თუ მოვრიგდით, ანუ დავუმტკიცე, რომ მე ვარ მართალი, მაშინ სარჩელსაც აღარ შევიტან.

**აშშ-ს ელჩს დავურეკე, პირველ რიგში, რიჩარდ ნორლანდს და ვუთხარი, რომ საქართველოში ამერიკულ ინვესტიციას ძალიან ცუდად ექცევიან და დამეთანხმა. მივწერე, მიშველე-მეთქი. 1,3 მილიონი ლარი, სამწუხაროდ და, ჩემდა გასაოცრად, ქართველებისთვის ძალიან პატარა თანხაა, ამერიკისთვის კი, დამიჯერეთ — ძალიან დიდი. განვაცხადე, რომ ამ ინვესტიციას ძალიან არასამართლიანად და არასწორად ემუქრებიან და ახლა ველი, რა იქნება.**

ვერსიანიუსი

## მიხეილ სააკაშვილმა ორი ვერტმფრენის გასხვისება აკრძალა

მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის საკუთრებაში არსებული ორი ფრანგული წარმოების, SUPER PUMA-ს ტიპის ვერტმფრენის გასხვისების აკრძალვის ბრძანება გამოსცა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ანდრო ბარნოვის განმარტებით: **„საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც კრძალავს საქართველოს საკუთრებაში არსებული ორი ფრანგული წარმოების ვერტმფრენის გასხვისებას. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და ამ ტიპის ტექნიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამაშველო ოპერაციების საწარმოებლად. სამწუხაროდ, დღეს პრემიერის საკუთრებაში არსებული ერთი რუსული წარმოების ვერტმფრენის გარდა, სხვა მსგავსი ტიპის რუსული წარმოების ტექნიკის რესურსი პრაქტიკულად ამოწურულია, რაც აღნიშნული ფრანგული წარმოების ვერტმფრენების მნიშვნელობას ერთი ორად ზრდის. პრეზიდენტ სარკოზის დახმარებით გადმოგვეცა ოთხი ვერტმფრენი, მაგრამ პროცედურების სირთულის გამო, დღემდე მხოლოდ ორის ჩამოტანა მოხერხდა. ახალ მთავრობას შეეძლო გაეგრძელებინა პროცედურები დარჩენილი ორი ვერტმფრენის ჩამოსატანად, თუმცა მან არჩია უკვე ჩამოტანილი ორიც გაესხვისებინა — როგორც ვიცით, კერძო პირებზე. ეს ყოვლად დაუშვებელია“.**



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, იმ ვერტმფრენების შეძენით, რომლის პრივატიზაცია პრეზიდენტმა შესაბამისი ბრძანებულებით აკრძალა, სერიოზული დილერები არ ინტერესდებიან, რის გამოც მინისტრი არ გამორიცხავს, რომ მათ დანიშნულება ისევ „ქვეყნის შიგნით“ მოუნახონ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა კი, მთავრობას მოუწოდა, შეცვალოს აღნიშნული თვითმფრინავების განკარგვის ფორმა და ის შსს-ს დაცვის სამსახურს ან რომელიმე სხვა უწყებას გადასცეს.

რაც შეეხება აღნიშნული თვითმფრინავების ფასსა და პრეზიდენტ სარკოზის როლს, ბარნოვის თქმით, ვერტმფრენების შეძენა ფრანგული კრედიტით მოხდა: **„ჩვენ არ გვითქვამს, რომ ეს ვერტმფრენები უფასოდ გადმოგვეცა. ეს იყო ფრანგული კრედიტი, საკმაოდ კარგი პირობებით, რაც ცხადია, საბოლოო ფასზეც აისახა. ძირითადი მიზეზი იმისა, რომ გადმოცემის პროცედურებს რამდენიმე დღე დასჭირდა, სწორედ ისაა, რომ ეს სამხედრო დანიშნულების ტექნიკაა და არა ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო. მოვუწოდებ მთავრობას, ბიუჯეტის შევსებას ნუ შეეცდებიან საზოგადოების უსაფრთხოების ხარჯზე. პირველი შედეგები უკვე სახეზეა და ეკონომიკის პრობლემებს უკვე ეწირება ჩვენი უსაფრთხოება. ეს არის სრულიად დაუშვებელი და სწორედ ეს იკრძალება უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით“.**

*„ვერსიანიუსი“*

# „შესაძლოა, კოალიციაში ვიღაცებს ჩემი განცხადება არ მოეწონოს, მაგრამ...“



## რაში არ ეთანხმება ბიძინა ივანიშვილს თანაგუნდელი სოსო ჯაჭვლიანი

რუსუდან შელია
557-100-768

**საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებას მხარს უჭერს, თუმცა იმასაც არ მალავს, რომ ნინო ბურჯანაძის აზრს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ, სრულად იზიარებს. რას უწუნებს ხელისუფლებას და რატომ არ სურს არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის მეორე ადგილზე გასვლა, „ვერსიას“ გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი ესაუბრა.**

— ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები წინამორბედებისგან რადიკალურად განსხვავდება — კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიას ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, თავისუფალ გარემოში ატარებენ. მათზე არც ზონდერბრიგადები ახორციელებენ ზეწოლას და არც კომპრომატებით აშანტაჟებთ ვინმე. კარგად გვახსოვს, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა, მისი გამარჯვების არავის სჯეროდა, მით უმეტეს, არჩევნების გზით. ჩემს შტაბშიც ბოლო დღემდე იგივე განწყობა იყო.

**— თუ კოალიციის გამარჯვების არ გჯეროდათ, „ქართული ოცნების“ სახელით დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად არჩევნებში კენჭისყრას რატომ დათანხმდით?**

— პირადად მე, მჯეროდა, რომ ივანიშვილი გაიმარჯვებდა. 2-3 ადამიანი ჩემი შტაბიდან „დავიფრინე“ იმის გამო, რომ მეუბნებოდნენ — არჩევნებში გამარჯვების იმედი არ უნდა გვქონდესო. მსგავსი განცდა იმის შედეგი იყო, რომ ნაციონალებმა საზოგადოება შეაშინეს, თითქმის ყველა მოქალაქე დაძაბული იყო და ყოველგვარი ცვლილების იმედი დაკარგული ჰქონდა. მთავარი დაპირება შევასრულეთ და საზოგადოება სტრესისგან გავათავისუფლეთ. ბუნებრივია, ბევრი რამ მეც არ მომწონს; მაგალითად, რატომ არ აღდგა ჯერ კიდევ სამართლიანობა, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ უამრავი საქმე დაგროვდა, რომლის განხილვაც პროკურატურას ერთბაშად არ შეუძლია.

**— რატომ არ აღმოჩნდა ათი თვე საკმარისი, რომ თუნდაც ერთი გახმაურებული საქმე პროკურატურას ბოლომდე მიეყვანა? ისიც საინტერესოა, თქვენი პირობა — თუ სამართლიანობა არ აღდგება, გუნდს დავტოვებო, ძალაშია?**

— ნაციონალებს ხომ ვერ დავემსგავსებით, რომლებიც უდანაშაულოდ დაკავებულ ადამიანებს აღიარებით ჩვენებას ცოცხებით აწერინებდნენ?! ალ კაპონე, რომელსაც უამრავი ადამიანი ყავდა დახოცილი, დანაშაულს ვერ უმტკიცებდნენ და ბოლოს, გადასახადების დაფარვისთვის დააკავეს. ჩვენ, დაახლოებით, იგივე მდგომარეობაში ვართ. რაც შეეხება ჩემს სიტყვას, ბუნებრივია, ძალაშია, რადგან თუ ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე და ოდიოზური ტიპები არ გასამართლდებიან, კოალიციაში ჩემი ადგილი არ არის — საზოგადოების საგინებელი ვერ გავხდები. სხვათა შორის, არ მომწონს ისიც, რომ საზოგადოებას საკმარისი ინფორმაცია არ აქვს იმის შესახებ, რას აკეთებს მთავრობა მოსახლეობისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მშობიარობა უფასო გახდა, საზოგადოების ნაწილმა კი დეტალების შესახებ არაფერი იცის. წარმოიდგინეთ, ამ ინიციატივას მიხეილ სააკაშვილი როგორ გააპიარებდა. მყინვარწვერზე ავიდა და ამის გამო, ლამის ყველას თავი გადაგვჭამა. ვის რაში აინტერესებს მისი ასვლა მყინვარწვერზე? ყველამ იცის, რომ კენჭის სროლაც არ შეუძლია, უბრალოდ, ყველაფერს საკუთარი პიარისთვის იყენებს.

**— ხელისუფლებას რა უშლის ხელს, საკუთარი ინიციატივების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს — არაპროფესიონალიზმი?**

— ბიძინას აქვს პრინციპი — პიარს საქმის კეთება სჯობს და ხალხმა თავად იგრძნოს უკეთესი პირობები — რასაც პირადად მე, არ ვეთანხმები, რადგან, რასაც აკეთებ, უნდა გააპიარო. ახლა იმაზე გვაკრიტიკებენ, რატომ მიდის ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდანო, არადა, მან პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, პრემიერის თანამდებობიდან, მაქსიმუმ ორ წელიწადში, გადადგომა დააანონსა. ამის შესახებ ხალხმა იცოდა, თუმცა ამ დრომდე ხმა არ ამოუღია და არც გაუპროტესტებია. ახლა კი აყალმაყალი ატეხეს. ბიძინა ივანიშვილმა ისიც განაცხადა, საქართველოში ისეთი დემოკრატია იქნება, ევროპასაც გავაოცებო და ეს პირობაც შეასრულა. ძლივს არ ვნახეთ ადამიანი, რომელიც საკუთარი ნებით თანამდებობიდან მიდის. აქამდე, ვინც თანამდებობაზე მოვიყვანეთ, ზოგს თოფი ვესროლეთ, ზოგს სკამი.

**— ეს დემოკრატიის ნიმუშია თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობა?**

— რაც ბიძინა ივანიშვილმა ვარაუდის დონეზე, წინასწარ გააჟღერა, ჯერჯერობით, ყველაფერი სრულად გამართლდა, ამიტომ ახლაც მჯერა, რომ მისი განცხადების შესაბამისად, ქვეყანაში ყველაფერი მომავალ წლებში დალაგდება. მთავარია, დამნაშავე ნაციონალებთან კოაბიტაცია დასრულდეს. გიორგი მარგველაშვილი გვპირდება, რომ ეს თანაცხოვრება 27 ოქტომბერს დასრულდება. იმედი მაქვს, ამას გულწრფელად ამბობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება შესაბამის რეაქციასაც არ დააყოვნებს.

**— გიორგი მარგველაშვილს უკვე თანამდებობიდან გადაყენებას უწინასწარმეტყველებთ?**

— არა, უბრალოდ, თავის ყველა სიტყვაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს, რადგან დამნაშავეებთან კოაბიტაცია დაუშვებელია. ჯერ კიდევ, თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში, თანამშრომელთა 70% ნაციონალია და ამ პრობლემის მოგვარება ხელის ერთი მოსმით შეუძლებელია. ახლა იმასაც გვსაყვედურობენ, რეიდებს რატომ აწყობთო. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ 14 ათასი ამნისტირებული პატიმრისგან, რომლებსაც ნაციონალურმა მოძრაობამ ნამუსი ახადა, თავად ნაციონალები დავიცვათ, ამიტომ ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილმა საკმაოდ სწორად გააჟღერა კოჰაბიტაციის დასრულების შესახებ, რადგან ეს საზოგადოების ძირითადი მოთხოვნაა, სხვა შემთხვევაში, ხალხი არ დაწყნარდება.

**— გიორგი მარგველაშვილს თქვენი ყოფილი ლიდერი ნინო ბურჯანაძე უპირისპირდება. გულის სიღრმეში, ბურჯანაძესაც ხომ არ გულშემატკივრობთ?**

— რა თქმა უნდა, არჩევნებში კოალიციის კანდიდატმა უნდა გაიმარჯვოს, რადგან ამ გუნდის წევრი ვარ და როგორი სიმპათიაც უნდა მქონდეს ნინო ბურჯანაძის მიმართ, ჩემგან განსხვავებული განცხადების გაკეთება არასწორი იქნებოდა.

**— ანუ კოალიციის კანდიდატს მხოლოდ იმიტომ უჭერთ მხარს, რომ დღეს უმრავლესობის წევრი ხართ?**

— ბიძინა ივანიშვილმა საკმაოდ სწორად აღნიშნა — თუ გიორგი მარგველაშვილი დამარცხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მეც არ ვჭირდები ხალხსო. მჯერა, ქართველი ხალხი ბოლომდე ივაჟკაცებს.

**— გამოდის, გიორგი მარგველაშვილს საზოგადოებამ მხოლოდ იმიტომ უნდა დაუჭიროს მხარი, რომ იგი პრემიერის ფავორიტია?**

— ქართველი ხალხის უბრალოდ გამკვირვებია... შარშან ამ დროს, მოქალაქეებს ცოცხებითა და ხელკეტებით ხდიდნენ ნამუსს, დღეს კი თითქოს ყველას ამნეზია დაემართა. ახლა მთავარია, ქართველმა ხალხმა ნაციონალები საპრეზიდენტო არჩევნებში ბოლო ადგილზე გაიყვანოს. ეს იქნება თავმოყვარე ერის სწორი რეაქცია 9-წლიანი ნამუსის ახდის წინააღმდეგ. თუ ნაციონალები მეორე ადგილზე გავლენ, დავამტკიცებთ, რომ მათ საპარლამენტო არჩევნებზე 40% მიიღეს, რაც თავისთავად აბსურდია.

**— მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე უნდა გავიდეს, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას აპირებს?**

— რა თქმა უნდა, მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე უნდა გავიდეს. რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, შესაძლოა, კოალიციაში ვიღაცებს ჩემი განცხადება არ მოეწონოს, მაგრამ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, ვფიქრობ, აუცილებელია. ჩემთვის დეპუტატის მანდატი ხალხის ნდობას ნიშნავს, ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა ხალხის მოთხოვნის ასრულებაზე უნდა იფიქროს.

**— ახლაც ნინო ბურჯანაძის აზრს იზიარებთ და თქვენი გუნდის პოზიციას ეწინააღმდეგებით, რომელიც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის განხილვისას, კონსტიტუციის პატივისცემას მოითხოვს.**

— კოალიციაში დებილები არ ვართ გაერთიანებულნი, ამიტომ ყველას საკუთარი აზრი გაგვაჩნია. სწორედ ესაა განსხვავება „ქართულ ოცნებასა“ და სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. ეს ჩემი პირადი აზრია და ვისაც ჩემი ნათქვამი არ მოსწონს, მოვიდეს, დამელაპარაკოს, თუ რამეში ვცდები, ბოდიშის მოხდაც არ გამიჭირდება.

ეკონომიკა

# საქართველოში 0%-იანი ინფლაციაა

## სახელმწიფო ხაზინაში 755 მილიონი ლარის რეზერვია

**საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა განვლილი რვა თვის მონაცემები შეაჯამა და განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის შეუქცევადი პროცესი უკვე დაიწყო. 2013 წლის იანვარ-ივლისის წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკა 1,7%-ით, 2013 წლის ივლისში კი 0,6%-ით გაიზარდა. 2013 წლის იანვარ-აგვისტოში ფისკალური პროფიციტი 146 000 000 ლარი იყო, ხოლო 2012 წლის იანვარ-აგვისტოში დეფიციტი 348 000 000 ლარზე დაფიქსირდა. მეტიც, მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ ამჟამად, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე 755 000 000 ლარია, რაც 2013 წლის დასაწყისთან შედარებით, 61 000 000 ლარით მეტია.**



საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მხრივ, პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება, რაც საგადასახადო შემოსავლების მობილიზებასა და ექსპორტის ზრდაში გამოიხატება. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდის ტენდენცია თანმიმდევრულად სტაბილურ ხასიათს იძენს, რასაც ქვეყანამ, სახელმწიფოს მიერ ხელოვნური ჩარევის გარეშე, ჯანსაღი და კონკურენტიანი ბიზნესგარემოს შექმნის შედეგად მიაღწია.

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, შვიდ თვეში მობილიზებულმა საგადასახადო შემოსავლებმა 31 000 031 ლარით გადააჭარბა 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მიმდინარე წლის შვიდ თვეში, საგადასახადო შემოსავლების კუთხით, მობილიზებულია 3 785 000 ლარი, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში — 3 753 000 ლარი.

2013 წლის რვა თვის მონაცემებით, საგრძნობლად გაიზარდა ექსპორტის მოცულობა. მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტირებული საქონლის ღირებულებამ 1 140 000 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 69 000 000 ლარით აღემატება. მიმდინარე წელს, ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აგვისტოში დაფიქსირდა, რადგან ექსპორტირებული საქონლის ღირებულება 180 000 000 ლარი იყო:

**„ექსპორტის მზარდი დინამიკა დაფიქსირდა, როგორც მეზობელ, ასევე — დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ექსპორტის პოზიტიური მაჩვენებელი გვაქვს რუსეთში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩრდილოელმა მეზობელმა ქვეყნის ბაზარი ქართული პროდუქციისთვის გაიხსნა. 2013 წლის რვა თვეში, რუსეთში ექსპორტირებული საქონლის ღირებულებამ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელს 36 000 000 ლარით გადააჭარბა“.**

ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და ბიზნესის სტიმულირებისთვის, მთავრობამ ბიზნესისთვის საგადასახადო ზედმეტობების დაბრუნების პროცესი გაააქტიურა. 2013 წლის რვა თვეში, გადამხდელთათვის უკან დაბრუნებული ზედმეტად გადახდილი გადასახადის ოდენობა 37 000 000 ლარი იყო. დაბრუნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აგვისტოში დაფიქსირდა და 11 860 000 ლარი შეადგინა.

„ვერსიის“ კითხვაზე, დგას თუ არა ქვეყანა ინფლაციის საშიშროების წინაშე, რადგან ზაფხულში, ბუნებრივი მოვლენების, ანუ წყალდიდობის გამო, მოსავალი მთლიანად განადგურდა და გველის თუ არა საბიუჯეტო კრიზისი წლის ბოლოს, ნოდარ ხადურმა გვიპასუხა: **„ამ პრობლემების თეორიული შანსიც კი არ არსებობს. რეალურად, ქვეყანაში 0%-იანი ინფლაციაა და აქედან გამომდინარე, არავითარი საფრთხე არ გველის. რაც შეეხება წყალდიდობებს, ამჟამად სახელმწიფო ხაზინაში 755 000 000 ლარის რეზერვია და ეს საკმარისია იმისთვის, რომ ნებისმიერი პრობლემა ავიცილოთ თავიდან. რაც მთავარია, საგადასახადო სამსახური კარგად მუშაობს და არანაირი კრიზისი არ გველის“.**

*„ვერსიანიუსი“*



## შსს-მ სხვადასხვა ტიპის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1961 წელს დაბადებული დიმიტრი ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. სამართალდამცავებმა დიმიტრი ჩ-ს დროებით საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ტეტე“-ს სისტემის 2 პისტოლეტი, 4 მჭიდი, 15 ვაზნა, ასევე „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი 35 ვაზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 7 მჭიდი და 211 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშალს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის პირველი ნაწილით).

შსს-ს მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა კი, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, სამი პირი — 1972 წელს დაბადებული დავით ა, 1969 წელს დაბადებული კობა მ. და 1959 წელს დაბადებული ნოდარ კ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დავით ა. და ნოდარ კ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩაზე აიყვანეს. ნოდარ კ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „პი-ეს-ემ“-ის მოდელის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 8 ვაზნა. დაკავებული დავით ა-ს საცხოვრებელი ბინიდან საგამოძიებო მოქმედებების დროს, სამართალდამცველებმა „საიგას“ მოდელის 2 შაშხანა, 1 მჭიდი და 3 ვაზნა, ასევე „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 763 ვაზნა ამოიღეს. იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ბრალდებული კობა მ-ს დაკავება კი მის საცხოვრებელ ბინაში მოხდა. სამართალდამცავებმა საგამოძიებო მოქმედების დროს სხვადასხვა ტიპის იარაღის ნაწილები და 208 ცალი საბძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსკს-236 მუხლის 1 და მე-2 ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*




## ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქობულეთის რაიონის მუნიციპალიტეტის სამხედრო გაწვევის, აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის თანამშრომელი, 1956 წელს დაბადებული ლევან სურმანიძე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან სურმანიძემ, მასზე კანონით მინიჭებული უფლებამოსილების დარღვევით და პირადი გამორჩენის მოტივით, ამავე რაიონში სამხედრო აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების სანაცვლოდ, მოსთხოვა ქრთამი და გამოართვა 200 ლარი. დაკავებულის მიერ ამგვარი სახით განხორციელებულ დანაშაულებრივ საქმიანობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე.

*„ვერსიანიუსი“*

# შსს სექსუალური ხასიათის დანაშაულზე სასჯელს ამკაცრებს



გაუპატიურებაში ბრალდებულებს სასამართლო დარბაზიდან ვეღარ გაუშვებენ!

რუსუდან შელია
557-100-768

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, სექსუალური ხასიათის დანაშაულზე სასჯელი მკაცრდება. ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსის ისეთ მუხლებში, როგორიცაა გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება და 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან გარყვნილი ქმედება. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, სექსუალური ხასიათის დანაშაულებზე სასჯელი ერთი, ორი ან ხუთი წლით უნდა გაიზარდოს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინიციატივა მთავრობას უკვე წარუდგინა, რის შემდეგაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც გაიგზავნება.**

მოქმედი კოდექსის მიხედვით, გაუპატიურებისთვის დადგენილი სასჯელის ოდენობა დამნაშავე პირის ოთხიდან ექვს წლამდე პასუხისგებაში მიცემას ითვალისწინებს. ცვლილებების მიხედვით კი, იგივე დანაშაულზე მხილებული პირი ოთხიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. რაც შეეხება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ გაუპატიურებას, ან მსგავსი ტიპის სხვა დანაშაულს, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა, თხუთმეტის ნაცვლად, ოცი წლით განისაზღვრება.

იგივე კანონმდებლობის მიხედვით, 16 წლამდე ასაკის პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებისთვის თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე განისაზღვრებოდა, ძალაში ცვლილებების შესვლის შემთხვევაში კი, ბრალდებულის მიმართ სასჯელი ხუთიდან შვიდ წლამდე დადგინდება. ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირთან გარყვნილი ქმედების ჩამდენი დამნაშავე პირი, ორის ნაცვლად, ხუთიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. სამინისტროს მონაცემების მიხედვით, სექსუალური ხასიათის დანაშაულმა პიკს 2009 წელს მიაღწია — წლის განმავლობაში 84 შემთხვევა დაფიქსირდა. საგანგაშო სტატისტიკა ფიქსირდება 2010 წელსაც — 82 შემთხვევა, 2011 წელს — 78 შემთხვევა, 2012 წელს — 81, ხოლო 2013 წლის რვა თვის განმავლობაში დანაშაულის სტატისტიკამ იკლო და 48 შემთხვევა დაფიქსირდა. პარალელურად კი, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმაც იმატა. ეს მთლიანი მონაცემებია და ყველა ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი **ზვიად ოქროპირიძე** აცხადებს, რომ არსებული სისხლის სამართლის კოდექსი დამნაშავეების მიმართ ლოიალურია და მათ წინააღმდეგ არაადეკვატურ სასჯელს ითვალისწინებს. შესაბამისად, ცვლილებები დროული და აუცილებლობიდან გამომდინარეა: **„ჩვენ არსებითად გადავხედეთ სისხლის სამართლის კოდექსში სქესობრივი დანაშაულის მარეგულირებელ მუხლებს და აღმოჩნდა, რომ სასჯელი მაინცდამაინც ადეკვატური არ არის. პირიქით, დამნაშავეების მიმართ ხაზგასმით ლოიალურია. მაგალითად, 140-ე და 141-ე მუხლებით, 16 წლამდე ასაკის პირთან სქესობრივი კავშირის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავის მიმართ მაქსიმალური სასჯელი 1-დან 3-წლამდე განისაზღვრება, არასრულწლოვანის მიმართ გარყვნილი ქმედების ჩადენის შემთხვევაში კი, სასჯელის ზღვარი ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთაზე გადის. ამასთან, სექსუალური ხასიათის დანაშაულის სასჯელად ჯარიმა და გამოსასწორებელი სამუშაოებიც კი მითითებულია, რაც აბსოლუტურად არაადეკვატურია. სწორედ აქედან გამომდინარე, გვინდა, ამ ტიპის დანაშაულებისთვის სასჯელები უფრო ადეკვატური და რეალობასთან მიახლოებული გავხადოთ. გარდა ამისა, მსგავსი ტიპის ცვლილებებს ევროსაბჭოს მიერ დამტკიცებული სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის კონვენციაც გვავალდებულებს. ამ კონვენციის სულისკვეთებასაც ვითვალისწინებთ და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულებზე სასჯელს ვამკაცრებთ. კანონმდებლობა მკაცრდება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვისაც. მაგალითად, როგორიცაა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი გაუპატიურება, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია.**

**როგორც ჩანს, წინა ხელისუფლების პირობებში სექსუალური ხასიათის მიმართ დაბალი სასჯელის მიზეზი ის არის, რომ შესაბამისი მუხლების გადასინჯვა ეტაპობრივად არ ხდებოდა. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის შევიდა კოდექსში ცვლილებები — რატომღაც ამ მუხლებს ყურადღებას არავინ აქცევდა“.**

ზვიად ოქროპირიძის განცხადებით, როცა სექსუალური ხასიათის დანაშაულზე კანონმდებლობა გამკაცრდება, მოსამართლეც საქმის განხილვას უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება. მისივე განმარტებით, ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ მოსამართლეებს საშუალება არ ექნებათ, 16 წლამდე ასაკის ბავშვის გაუპატიურებისთვის ბრალდებულს მხოლოდ ჯარიმა დააკისრონ ან საპროცესო შეთანხმება გაუფორმონ, რისი მაგალითებიც წინა ხელისუფლების პირობებში არაერთხელ დაფიქსირებულა: **„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოსამართლეს მოქმედო კანონმდებლობის მიხედვით შეეძლო, სექსუალური ძალადობისთვის ბრალდებული ადამიანი უბრალოდ დაეჯარიმებინა ან მისთვის პირობითი მიესაჯა. ამის მიზეზი შემდეგია: მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ მსგავსი ტიპის დანაშაული საზოგადოებისთვის მაღალი საშიშროების მატარებელი არ არის, რადგან მასზე სასჯელის საკმაოდ დაბალი ზღვარია დაწესებული, რაც მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად გაუმართლებელი მიდგომაა“.**

„ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად იზიარებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ინიციატივას და იქნება თუ არა პრევენცია სასჯელის გამკაცრება? ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, **გედევან ფოფხაძის** განცხადებით, მსგავსი მიდგომით სახელმწიფო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებრივ-მორალური დანაშაულის მიმართ პრინციპულად მკაცრი იქნება: **„მსგავსი ტიპის დანაშაული უბრალოდ ამორალური და ამაზრზენია, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, მოქალაქეები ყოველგვარი საფრთხისგან მაქსიმალურად დაიცვას. ჩვენ ვსაუბრობთ დანაშაულზე, რომელიც მხოლოდ ერთი ადამიანის ჯანმრთელობას ან მის უფლებების შელახვას არ ეხება. ზოგადად, მსგავსი ტიპის საქმეები საზოგადოებისთვის მორალურ კონტექსტში განიხილება, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, შეუპოვარი იყოს ყველა დამნაშავის მიმართ, რომელიც გარყვნილებაში, სექსუალური ხასიათის მოქმედების იძულებასა თუ სასტიკი ფორმებით გაუპატიურებაში იქნება მხილებული. სამწუხაროდ, მსგავსი მიდგომა წინა ხელისუფლების პირობებში არ არსებობდა. პირიქით, ამ მხრივ საეჭვოდ ლოიალური კანონმდებლობაც კი გვაქვს. მაგალითად, როცა სააკაშვილმა პედოფილების ციხიდან გამოშვებაში დაგვდო ბრალი და განაცხადა, მსგავსი ტიპის მძიმე დამნაშავეებს თურმე საპროცესოებსაც ვუფორმებთ, კანონმდებლობაში შესაბამის მუხლებს საკმაოდ დიდხანს განვიხილავდით. აღმოჩნდა, რომ პედოფილებისა და მსგავსი ხასიათის დამნაშავეების მიმართ კანონი არაადეკვატურად ლოიალური იყო. იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა სექსუალური დამნაშავეების მიმართ მოქმედ კანონმდებლობაზე ვსაუბრობთ. პირადად მე, დაუშვებლად მიმაჩნია, როცა 16 წლამდე ასაკის პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებისთვის მხოლოდ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება. მართალია, კანონმდებლობის გამკაცრება პრევენცია ვერ იქნება და ცალსახად, ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ ტიპის დამნაშავეები ქვეყანაში კანონმდებლობის გამკაცრებით გამოსწორდებიან, მაგრამ ახლა სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, რომელიც საკუთარი მოქალაქეების წინაშე მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, წინა წლებთან შედარებით, მსგავსი ტიპის დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაზრდილია. ვფიქრობ, ესეც დადებით ტენდენციად უნდა ჩავთვალოთ“.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონპროექტი ჯერ მთავრობას წარედგინა. სავარაუდოდ, მიმდინარე კვირის ბოლოსთვის პარლამენტშიც გადაიგზავნება და მისი დეტალური განხილვა დაიწყება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი ზვიად ოქროპირიძე იმედოვნებს, რომ სექტემბრის მიწურულის ან ოქტომბერში აღნიშნული ცვლილებები უკვე ძალაში შევა.

# პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს! არ შეიძლება, სუფრასთან ორი თამადა იყოს



## პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ (გელა) სალუაშვილის პოლიტიკური წინასწარმეტყველება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„ზვიადისტი", ერთ დროს აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, თბილისის პირველად არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე, პარტია „სამართლიანობის აღდგენის კავშირი, ხმა ერისა — უფალია ჩვენი სიმართლე" ხელმძღვანელი მიხეილ (გელა) სალუაშვილი პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი კანდიდატია. მისი საპრეზიდენტო პროგრამის წაკითხვა საიტ „უფალი.გე"-ზე შეიძლება. თავად პროგრამას „უფლის სახელით გაბრწყინებული საქართველო ჰქვია" და წინასაარჩევნო დაპირებათა შორის იმდენი ორიგინალური იდეაა ჩამოთვლილი, მსგავსი ყველა კანდიდატს ერთად არ უთქვამს. როგორ უნდა დააკომპლექტონ პარლამენტი სინოდის წევრებმა და პატრიარქის ქორეპისკოპოსებმა, რატომ უნდა გაუქმდეს პრემიერ-მინისტრის პოსტი, რატომაა ივანიშვილი სააკაშვილის „ზეციური სამსჯავრო" და ვინ არის „ბოლო ჟამის" ორი ხელმწიფე საქართველოში — ამ და სხვა, მეტად საინტერესო თემებზე „ვერსიასთნ" ცესკო-ს მიერ პირველი ოფიციალურად რეგისტრირებული კანდიდატი მიხეილ (გელა) სალუაშვილი საუბრობს.**

**— დაბნეულობას იწვევს თქვენი ორი სახელი — გელა თუ მიხეილი?**

— მერე, ვინ გითხრათ, რომ ორი სახელი მქვია. ჩემი ნათლობის სახელია ბაბუაჩემის სახელი მიხეილი, შინაურობაში გელას მეძახიან... არა მგონია, საქართველოში ვინმეს ეს ამბავი უკვირდეს.

— **საინტერესო სახელი ჰქვია თქვენს პარტიასაც და რჩება შთაბეჭდილება, რომ უფლის სახელით მანიპულირებთ**.

— ჩვენი პარტია 1992 წლის 10 იანვარს დაარსდა — „სამართლიანობის აღდგენის კავშირი — ხმა ერისა" — ამ სახელით 1992-95 წლების საპარლამენტო არჩევნებში ვმონაწილეობდით და სამწუხაროდ, მანდატები ვერ მოვიპოვეთ. ვერ გეტყვით, ჩემი პარტიის სახელზე ვინ რას ფიქრობს. ყველა ნათქვამს გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს, მე ჩემს საფუძველს გეტყვით: 1996 წლის ბოლოს დავაარსეთ „საქართველოს სულიერი მისიის შემსწავლელი ლაზარეს ინსტიტუტი", რადგან, როგორც იოანე ზოსიმე წერს, თურმე, ქართულმა ენამ უნდა გაამჟღავნოს, დადგა თუ არა უფლის მეორედ მოსვლის დრო. მთელი ბიბლია იმ ნიშნებითაა გაჯერებული, როგორ უნდა შევიცნოთ მეორედ მოსვლის წინარე ჟამი და კვლევა ჩვენც სწორედ ამ მიმართულებით დავიწყეთ.

— **ანუ „ბოლო ჟამის მისიონერები" ხართ, ვინც ერს მეორედ მოსვლის დადგომა უნდა აუწყოს?**

— ვცდილობთ, ხალხმა ასე აღგვიქვას! 1997 წელს პატრიარქს ჩვენი საქმიანობის შესახებ მოვახსენეთ, კურთხევა ავიღეთ და მას მერე ჩვენი კვლევის შედეგებს მოსახლეობას გაზეთ „დედა ენის სასწაულის" მეშვეობით ვამცნობთ. ისე კი, მე ე.წ. ზვიადისტი ვარ! გახლდით თბილისის საკრებულოს პირველი თავმჯდომარე 1991 წელს. 1995 წლამდე გვდევნიდნენ. შემდეგ უარი ვთქვით არჩევნებში მონაწილეობაზე. 2011 წლის 23 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროში პარტიის დასარეგისტრირებლად განაცხადი შევიტანეთ და პარტიის სახელდებაში შევიდა ცვლილება — „სამართლიანობის აღდგენის კავშირი, ხმა ერისა — უფალია ჩვენი სიმართლე". ახლა დიდ მიჯნას ვუახლოვდებით, ამიტომ გადავწყვიტეთ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართვა. ჩვენი პროგრამა — „უფლის სახელით გაბრწყინებული საქართველო" ორი ნაწილისგან შედგება: ეროვნულ-რელიგიური და ეროვნულ-პოლიტიკური. მე პირველი, ოფიციალურად დარეგისტრირებული კანდიდატი ვარ ცესკო-ში.

— **საქმე ისაა, რომ 26 ივლისი, თქვენი რეგისტრაციის დღე მთავარანგელოზ გაბრიელის კრების დღეა. ეს შემთხვევითობაა?**

— სპეციალურად როგორ დავამთხვევდი — 3 ივლისს დავწერეთ განცხადება, ჩავაბარეთ ხელმოწერები. ცესკო-მ შესამოწმებლად 24 ივლისს დაგვიძახა, ვერ მოასწრეს, 25-ში გადაიტანეს და თავმჯდომარემ 26-ში დაგვარეგისტრირა. შემთხვევით არაფერი ხდება... ჩვენ მიგვაჩნია, რომ 1992 წლის დეკემბერ-იანვრიდან მოყოლებული, სახელმწიფოს განვითარების ხაზი დაირღვა, რამაც შევარდნაძე-სააკაშვილ-ჟვანია-ბურჯანაძე-ბაქრაძის დანაშაულებრივი რეჟიმი შვა. ეს რეჟიმი პოლიტიკურად უნდა შეფასდეს.

— **ეს ჯაჭვი ბაქრაძეზე რატომ წყდება — ივანიშვილი ამ ორი დანაშაულებრივი რეჟიმის გამგრძელებელი არ არის?**

— არ ვიცი, ღმერთი როგორ ინებებს და ვის რა შეფასებას მისცემს ისტორია, თუმცა ამ შემთხვევაში, ეს ორი რეჟიმი მარტო შესაფასებელი კი არა, გასასამართლებელიცაა! მე უკვე შემუშავებული მაქვს პრეზიდენტის რანგში პირველივე დღეებში მისაღები გადაწყვეტილებები: 1. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შეფასება, როგორც დანაშაული ქართველი ერის წინაშე. პროკურატურამ ყველა იმ პირის მიმართ, ვინც სახელისუფლო ჯაჭვი იარაღით გაწყვიტა, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრას. 2. შევარდნაძე-სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე-ბაქრაძის რეჟიმიც დანაშაულებრივად უნდა შეფასდეს. ყველა ის აქტი, რომელიც 1992 წლის მიერაა მიღებული და ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება, ბათილად უნდა გამოცხადდეს! 3. ყველა იმ პირს, ვინც მოქალაქეთა კავშირისა და ნაციონალების მანდატით მაღალ თანამდებობებს იკავებდა, პოლიტიკური საქმიანობა 5 წლით უნდა აეკრძალოს. 4. 2012 წლის არჩევნებში ნაციონალების სიით გასულ პარლამენტარებს სადეპუტატო უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს.

— **ანუ თქვენც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვთ?**

— დიახ, ეს ყველაფერი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს უნდა დაედოს საფუძვლად.

**მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს და ჩვენ არა მარტო იდეა, ამის რეალიზების მექანიზმიც გვაქვს. სახელმწიფომ ეკლესიის საერო ცხოვრებაში ჩართვის მექანიზმი უნდა გამონახოს. ჩვენ კი კონკრეტული შეთავაზება გვაქვს: სამხარეო დაყოფაზე აგებული უნიტარული სახელმწიფო უნდა გავხდეთ! პარლამენტი ორპალატიანი უნდა იყოს: წარმომადგენლობითი პალატა თბილისში განთავსდეს, მხარეთა პალატა — ქუთაისში. მხარეთა პალატაში 70 წევრი იქნება, მათგან 35 დეპუტატი მაჟორიტარული წესით აირჩევა, ხოლო მეორე 35-შია ჩვენი ინოვაცია — იგი წმინდა სინოდისგან დელეგირებული სასულიერო პირებით დაკომპლექტდება!**

ეს 35 სასულიერო პირი ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი იქნება. მხარეთა პალატის თავმჯდომარეც პატრიარქის ქორეპისკოპოსი უნდა იყოს. ასე შემოიღო დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელის ინსტიტუტი.

— **აღმაშენებლის როლს აქ თქვენ ასრულებთ?**

— არა, ამ როლს კი არ ვასრულებ, უბრალოდ, ჭყონდიდელის ინსტიტუტი ამას ითვალისწინებდა. ასეთი დაბალანსების შემთხვევაში, გამორიცხულია, კანონი რომელიმე პარტიამ საკუთარ თავზე მოირგოს. ჩემი ამომრჩევლის უმეტესობა ამ პროგრამას იწონებს. კიდევ ერთი მომენტი — საბჭოთა კავშირის დროს ეკლესიას დაფინანსება შეუწყვიტეს და საეკლესიო რიტუალების აღსრულება ფასიანი გახდა. ამით ეკლესიას სახელი გაუტყდა. ამიტომ საჭიროა, ბიუჯეტის 10% დედაეკლესიას გადაეცეს.

— **ეკლესია გადასახადებს ისედაც არ იხდის, 10 000-ობით სხვა აღმსარებლობის ამომრჩეველს რას უშვრებით, ვინც ამ იდეას არ გაიზიარებს?**

— ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო მღვდლებსა და მასწავლებლებს ერთნაირ ხელფასს უხდის. აი, პორტუგალიაში, თუ კათოლიკე არ ხარ, სახელმწიფო სამსახურში მუშაობას ვერ დაიწყებ. ახლა მთავრდება ჯვარცმისეული გზა და ქართველი ერი დიდი არჩევანის წინაშე დგება. მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიათა წარმომადგენლების, მათ შორის ათეისტების უფლებებს — ჩვენი კვლავ რელიგიური შემწყნარებლობის ერთგულნი ვრჩებით.

— **თუ თქვენს პროგრამას ამდენი მიმდევარი ჰყავს, მაშინ საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებში რატომ არსად ჩანხართ, ან მთავარ კონკურენტად ვინ მიგაჩნიათ, ბატონი გორგიჯანიძისა არ იყოს, თქვენც სატანა?**

— ასეთი პროგრამა პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს არ აქვს — ეს პროგრამა უკონკურენტოა, ამიტომ საქართველოს მოსახლეობას მივმართავ: აირჩიეთ პროგრამა და არა ვინმეს ზურგსამოფარებული კანდიდატი. თუ სახელმწიფოს სათავე არ გაიწმინდა და წყაროს თავში მთვლემარე გველეშაპი არ მოვკალით, შუაში რა ფილტრიც უნდა დავაყენოთ, მაინც მოწამლული წყალი წამოვა, ამიტომ სახელმწიფო სტრუქტურა უნდა მოვაწესრიგოთ. მაგალითად, მიგვაჩნია, რომ ქვეყანა არ შეიძლება ორ თანამდებობაზე იდგეს — ჩვენი შემოთავაზებაა, დავტოვოთ საპრეზიდენტო ვერტიკალი, რომელიც პრემიერის ადგილს არ ითვალისწინებს.

— **ანუ პრემიერ-მინისტრის პოსტს აუქმებთ და ივანიშვილს გადააყენებთ?**

— ჩვენ თუ მოვალთ ხელისუფლებაში, მივიღებთ საკონსტიტუციო რეფორმას, რომელიც მთელ სახელისუფლო ვერტიკალს პრეზიდენტს დაუქვემდებარებს.

*დასასრული მე-10 გვერდზე*



## 31-ე ქარხანა ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის იქნება

9 სექტემბერს, 31-ე ქარხნის სამხედრო აეროდრომზე ავიაშოუ გაიმართა. ღონისძიების განმავლობაში, Су-25 და L-39-ის ტიპის თვითმფრინავების მფრინავებმა სხვადასხვა საავიაციო ილეთი და მანევრი აჩვენეს.

31-ე ქარხნის თავზე თვითმფრინავები მარნეულის სამხედრო აეროდრომიდან მიფრინდნენ. ღონისძიება პარაშუტისტებმა გახსნეს. ორი მათგანი თვითმფრინავიდან ამერიკისა და საქართველოს დროშის ფერებში შეღებილი პარაშუტებით გადმოხტნენ.

ღონისძიებას თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, სამხედრო და სამოქალაქო პირები, ასევე თბილისის მერი გიგი უგულავაც დაესწრნენ.

ავია-შოუ ამერიკაში მცხოვრები ქართველი ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველიშვილის (ქართველის) დაბადების დღეს მიეძღვნა. ქართველიშვილი თბილისში 1896 წლის 9 სექტემბერს დაიბადა. აშშ-ს საავიაციო ისტორიაში ის მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ავიაკონსტრუქტორად. ქართველი ავიაკონსტრუქტორი ნიუ იორკში 1974 წელს გარდაიცვალა.

ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან, 31-ე საავიაციო ქარხანა ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის იქნება. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ავიაშოუმდე, ოფიციალური ღონისძიება ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა, რომელსაც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, გაერთიანებული შტაბის უფროსი ირაკლი ძნელაძე, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და სხვა მაღალჩინოსნები დაესწრნენ.



## „მოვუწოდებ ივანიშვილს შეწყვიტოს ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების დევნა!"

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განცხადება გაავრცელა, სადაც წერია, რომ ის მთავარი ოპოზიციური პარტიის, ნაცმოძრაობის დასასუსტებლად დააპატიმრეს: „მეც და ჩემი დამცველებიც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩემი უდანაშაულობა დავამტკიცოთ. ეს პოლიტიკური პროცესია. მე ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკური პატიმარი ვარ. იმდენად დიდია ივანიშვილის სურვილი, ციხეში ვიყო, რომ მთავრობა პროცედურულ დარღვევებზეც წავიდა. ამ დარღვევებს, სტრასბურგის სასამართლო ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. საერთაშორისო და ჩვენი საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ სახეზეა მხოლოდ პოლიტიკური დევნა და ამ ყველაფერს საერთო არ აქვს სამართალსა და სამართლიანობასთან".

განცხადების გავრცელებიდან რამდენიმე საათში, მერაბიშვილის სოციალურ ქსელში ახალი ინფორმაცია დაიდო. ყოფილი პრემიერი იუწყება, რომ მის ბიძას, ლევან თუმანიშვილს საგამოძიებო სამსახურმა კიდევ ერთი ბრალდება წარუდგინა: „ჩემს მიერ გაკეთებული განცხადების საპასუხოდ, რომელშიც მე პირადად ბიძინა ივანიშვილი დავადანაშაულე ჩემს მიმართ პოლიტიკურ დევნაში, სამცხე-ჯავახეთის პროკურატურამ და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა კიდევ ერთი ბრალდება წარუდგინა ბიძაჩემს, ლევან თუმანიშვილს. ეს არის კიდევ ერთი მცდელობა ხელისუფლებისა ზეწოლა მოახდინონ პირადად ჩემზე, ჩემი ოჯახის წევრების და ნათესავების დევნის გზით. 68 წლის ლევან თუმანიშვილი, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს, ერთხელ უკვე იყო ამავე აბსურდულ საქმეზე ბრალდებული და გირაოთია გათავისუფლებული. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს, შეწყვიტოს პოლიტიკური მოტივებით ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების დევნა, ვინაიდან ეს ბრძოლა მათთვის უშედეგოდ დასრულდება".

*„ვერსიანიუსი"*

# გიორგი მარგველაშვილი: „ჩვენ ვთქვით, რომ ყველა ბავშვს ექნება უფასო სახელმძღვანელო და ასეც იქნება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ახალ სასწავლო წელს, უფასო ახალი სახელმძღვანელო ყველა მოსწავლემ ვერ მიიღოს. შესაბამისად, ახალ სახელმძღვანელოებთან ერთად, სკოლებში იმ წიგნებსაც დაარიგებენ, რომლებიც სოციალურად დაუცველმა მოსწავლეებმა, წინა წლებში უფასოდ მიიღეს, გამოიყენეს და სკოლას დაუბრუნეს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სააგენტოების გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ და კატეგორიულად აცხადებენ, რომ ახალი უფასო სახელმძღვანელოები ყველა სკოლაში დარიგდა.**

## რა შემთხვევაში დაურიგებს მოსწავლეებს ნახმარ წიგნებს განათლების სამინისტრო



„ვერსიამ“ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადაამოწმა. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, სააგენტოებმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს, რაც ოპონენტების ბინძური პიარია, რადგან ახალი სახელმძღვანელოები უკვე ყველა სკოლაში დარიგდა. უწყებაში განმარტავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების გადანაწილების პროცესში, 100-დან ორ ან სამ მოსწავლეს ახალი სახელმძღვანელო არ შეხვდება, შესაძლოა, უკვე გამოყენებული, მაგრამ კარგად მოვლილი სახელმძღვანელო მიიღოს.

სამინისტროს ინფორმაციით, ნახმარი სახელმძღვანელოები მაღალი ქულითაა შეფასებული და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში დარიგდება. გასულ წლებში, სახელმწიფო სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს უფასოდ ურიგებდა, მაგრამ სასწავლო წლის ბოლოს, ისინი წიგნებს სკოლებში აბრუნებდნენ. დანარჩენი მოსწავლეებისთვის წიგნები ფასიანი იყო.

„ვერსიამ“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიღებული ინფორმაცია დედაქალაქის რამდენიმე სკოლაში გადაამოწმა. სკოლების გამოხშირვის მეთოდით შევარჩიეთ და ყველგან დაგვიდასტურეს, რომ ახალი სახელმძღვანელოები უკვე მიიღეს. მეტიც, ახალი წიგნები იმერეთისა და გურიის რეგიონის სკოლებშიც დაარიგეს.

უფასო სახელმძღვანელოების დარიგების გადაწყვეტილება, განათლებისა და მეცნიერების ყოფილმა მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა მიიღო, რაც მშობლებისთვის მართლაც დიდი შეღავათია. როგორც წესი, წლის ბოლოს, მოსწავლეები უფასო სახელმძღვანელოებს სკოლებში დააბრუნებენ, ამ სახელმძღვანელოებს კი სპეციალური ქულებით შეაფასებენ.

წინა წლებში, სახელმძღვანელოების შინაარსი ყოველწლიურად იცვლებოდა და ცხადია, ერთ წელს გამოყენებული წიგნი, მეორე წელს გამოუსადეგარი ხდებოდა. ახალი ხელისუფლების პირობებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 5-წლიანი სასწავლო გეგმა დაამტკიცა და შესაბამისად, წელს დარიგებული უფასო სახელმძღვანელოების შინაარსი, როგორც მინიმუმ, 5 წლის მანძილზე არ შეიცვლება. რაც მთავარია, სამინისტრომ წიგნების ცვეთის 3-წლიანი ვადაც დაამტკიცა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამ წელიწადში ერთხელ, სახელმძღვანელოებს უშუალოდ სამინისტრო განაახლებს, ამიტომ თუ რომელიმე მოსწავლე, წლის ბოლოს 10-დან ერთ წიგნს ვერ მოუვლის, რომელიც დაბალი ქულებით შეფასდება, ლოგიკურია, მშობელმა ზარალი უნდა აანაზღაუროს და ამაში გასაოცარი არაფერია. გარდა ამისა, სამინისტრომ შეფასების კრიტერიუმებიც განსაზღვრა, მაგალითად, სახელმძღვანელო, რომელიც 15-დან 9 კრიტერიუმს მაინც დააკმაყოფილებს, უმაღლეს შეფასებას მიიღებს.

განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის, პრეზიდენტობის კანდიდატის, **გიორგი მარგველაშვილის** ინფორმაციით, შარშანდელ სასკოლო სახელმძღვანელოებს მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში გამოიყენებენ. მარგველაშვილის თქმით, ახალი უფასო სახელმძღვანელოების ტირაჟი, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლეზეა გათვლილი: **„ჩვენ ვთქვით, რომ ყველა ბავშვს ექნება უფასო სახელმძღვანელო და ასეც იქნება. რაც შეეხება ინფორმაციას, გამოიყენებენ თუ არა შარშანდელ სახელმძღვანელოებს სკოლებში, განათლების სამინისტროში უკვე გადავამოწმე ეს ფაქტი და განვმარტავ, რომ ყველა ბავშვს დაურიგდება უფასო სახელმძღვანელო. შარშანდელ ტირაჟს, როგორც დაზღვევის გარკვეულ საშუალებას, მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში გამოიყენებენ. ყველა ბავშვს ექნება უფასო სახელმძღვანელო, რადგან სტამბებმა წიგნები უკვე დაბეჭდეს. უფასო სახელმძღვანელოები ის პროექტია, რომელმაც ყველა სკოლაში რეალურად შეცვალა ყოფა. გიმეორებთ, შარშანდელი ტირაჟი მხოლოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვისაა განკუთვნილი, რადგან ცხადია, ამხელა პროექტში, გაუთვალისწინებელი შემთხვევების მცირე პროცენტიც იქნება, რისთვისაც წინა წლის წიგნებს გამოვიყენებთ“.**





# „დასეტყვილ ყურძენში 1 ლარს არავინ გადაგვიხდის და ისევ მოტყუებულები დავრჩებით“

## რატომ არ აქვთ მევენახეებს სახელმწიფო სუბსიდიის იმედი და რა არგუმენტებით პასუხობს მათ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან დავითაშვილის თქმით, „რთველი 2013“-ის ფარგლებში, გლეხების დასახმარებლად, სახელმწიფო კერძო სექტორის ინტერესების მაქსიმალურ დაცვასა და პარიტეტულობის შენარჩუნებას ცდილობს. დავითაშვილი ამბობს, რომ მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებული ყურძნის დიფერენცირება გამოირიცხება; მეტიც, მეწარმეებისა და მცირე ფერმერებისთვის თანაბარი პირობებიც კი შეიქმნება. ღვინის კომპანიებისათვის სახელმწიფო სუბსიდიის პროგრამა ვაუჩერის გარეშე განხორციელდება. სახელმწიფო სუბსიდია 1 კგ „რქაწითელსა“ და კახურ „მწვანეზე“ 40 თეთრი, ხოლო 1 კგ „საფერავის“ შემთხვევაში — 25 თეთრი იქნება.**

„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის, შალვა ფიფიას ინიციატივით, შეღავათიანი აგროსესხების პროექტს მე-5 კომპონენტი დაემატა, რათა ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის შეღავათიანი სესხები გაიცეს: 15-თვიანი სესხი — 12-15%-ად, აქედან 9%-ს სახელმწიფო დაფარავს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 1 ლარად ან 1 ლარზე ძვირად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით, შესაბამისი თანხით უზრუნველყოფს ღვინის მწარმოებელ კომპანიებს.

იმისათვის, რომ „რთველი 2013“ ორგანიზებულად ჩატარდეს, საკოორდინაციო შტაბი უკვე შეიქმნა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან დავითაშვილი ხელმძღვანელობს. შტაბის წევრები კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლები არიან.

რა მოხდება მაშინ, თუკი ღვინის ქარხნები გლეხებისგან ყურძენს 1 ლარად კი არა, 90-80 თეთრად ჩაიბარებენ? ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფო სუბსიდია არ განხორციელდება. წინა წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ღვინის ქარხნებთან გრძელ რიგში დგომისა და ყურძნის გაფუჭების სანაცვლოდ, გლეხს ურჩევნია, მოსავალი ნაკლებ ფასად ჩააბაროს. სწორედ ამ კითხვებით მოგვმართეს კახელმა გლეხებმა რედაქციაში და პრობლემაში გარკვევა გვთხოვეს.

„ვერსია“ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესა და „რთველი 2013“-ის საკოორდინაციო შტაბის უფროსს, **ლევან დავითაშვილს** დაუკავშირდა:

**„თავდაპირველად, უნდა დავაზუსტოთ, რომ სახელმწიფო ყურძნის ფასში სუბსიდიის სახით, 40 თეთრს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიხდის, თუ ღვინის ქარხნების მფლობელები 1 კგ ყურძენს, მინიმუმ 1 ლარად ჩაიბარებენ. ჩვენ არავის ვეუბნებით, კონკრეტულად, რა ფასად უნდა ჩაიბარონ ყურძენი, რადგან პროდუქციის ფასს არ ვადგენთ. ამ შეთავაზებით, სამინისტრო მხოლოდ მინიმალურ გარანტიას ქმნის და კომპანიის მფლობელებს არაფერს აიძულებს. წინა წლების მავნე პრაქტიკასა და ჩვენს შეთავაზებას შორის სწორედ ეს განსხვავებაა, რაც მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, რადგან ჩვენი სურვილია, არც გლეხი დაზარალდეს და არც ღვინის ქარხნები“.**

ფაქტია, რომ ღვინის ქარხნების მფლობელები 1 ლარად მხოლოდ საღ ყურძენს ჩაიბარებენ. ასეთი მოსავალი კი, სტიქიაგამოვლილ კახეთში დიდი რაოდენობით არ იქნება. „იმდენჯერ დაისეტყვა ჩვენი ვენახები, ისეთ ყურძენს ვერ ამოვარჩევთ, ლარი რომ გადაგვიხადონ. ისევ მოტყუებულები დავრჩებითო“, — შიშობენ გლეხები და ეჭვობენ, რომ ღვინის ქარხნების მფლობელები შეეცდებიან, ოდნავ დასეტყვილ მოსავალში, რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადონ. გლეხები ამბობენ, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ჯიბიდან ერთ თეთრსაც არ გადაუხდის მათ, ამიტომ სახელმწიფო სუბსიდიის დიდად არ სჯერათ. მით უფრო ახლა, როდესაც წინა წლების მახინჯი პრაქტიკა აქვთ, გლეხები წინდახედულები არიან და თავიდანვე ცდილობენ გაერკვნენ, რა შემთხვევაში დაასუბსიდირებს ახალი ხელისუფლება ყურძნის მოსავალს.

წყალდიდობამ და სეტყვამ ვენახები უკვე დააზიანა, ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ სასწაულებრივად გადარჩენილ მოსავალში, ქარხნების მფლობელებმა 1 ლარი გადაიხადონ. როგორც წესი, ღვინის ქარხნები 1 კგ ყურძენს წელსაც 90 ან 80 თეთრად ჩაიბარებენ და, შესაბამისად, სახელმწიფო სუბსიდია მევენახეების აუხდენელ ოცნებად გადაიქცევა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან დავითაშვილი ასე არ ფიქრობს და „ვერსიას“ საკმაოდ მყარი არგუმენტებით პასუხობს: **„ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ღვინის ქარხანამ 1 კგ ყურძენი მართლაც 90 ან 80 თეთრად ჩაიბარა. ცხადია, სახელმწიფო სუბსიდიას ვერ მიიღებს, მაგრამ მაშინ, სად არის მისი მოგება? თუკი 1 კგ მოსავალს მინიმუმ, 1 ლარად ჩაიბარებს, მხოლოდ 60 თეთრის გადახდა მოუწევს, რადგან 40 თეთრს სახელმწიფო გადაიხდის. თუკი მეწარმეს საშუალება აქვს, 1 კგ ყურძენში 60 თეთრი გადაიხადოს, 80, თუნდაც 90 თეთრი რატომ უნდა გადაიხადოს? შესაბამისად, ჩვენი შეთავაზებით, ღვინის კომპანიების მფლობელებს მოტივაციას ვუქმნით, ვცდილობთ, არც გლეხი დავაზარალოთ და არც ღვინის ქარხანა. გიმეორებთ, სახელმწიფო უხეშად არ ერევა ამ ბიზნესში, რადგან არავის არაფერს ვაიძულებთ“.**

„ვერსია“ თვალყურს მიადევნებს „რთველი 2013“-ს და ობიექტურ ინფორმაციასაც პერიოდულად მოგაწვდით. დაველოდოთ და ერთად ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები — შეძლებენ თუ არა გლეხები ყურძნის ჩაბარებას, რა ფასად ჩაიბარებენ ქარხნები მოსავალს და როგორი იქნება სახელმწიფო სუბსიდიის მოცულობა ყურძნის ფასში.

მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net
ობიექტური ვერსია
იშოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია

# მამუკა არეშიძე: „ბიძინა ივანიშვილს ჯორჯ სოროსის როლის შესრულება სურს“

რუსუდან შელია
557-100-768

**9 სექტემბერს, გაზეთ „ვერსიისა“ და მედიაკავშირ „ობიექტივის“ სტუმარი ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე იყო, რომელმაც სირიის კონფლიქტი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეაფასა.**



— სირიაში სამხედრო მოქმედებების განვითარების რამდენიმე სავარაუდო ვერსია არსებობს და საფრთხეებიც სხვადასხვაგვარია. რამ განაპირობა ამ ქვეყანაში შიდადაპირისპირება — დასავლეთი რუსეთის მკაცრმა პოლიტიკამ ენერგომომარაგების მიმართულებით ძალიან შეაშინა. ერთ დღეს, რუსეთმა თითქმის სრულიად ევროპას გამოუცხადა ბლოკადა და ზამთარში გაზის გარეშე დატოვა. ამან განაპირობა ევროპის გასათბობად ალტერნატიული გზების ძიების დაწყება. კერძოდ, თურქეთ-აზერბაიჯანისა და ნორვეგიული ბუნებრივი რესურსების მოზიდვის კუთხით. რაც მთავარია, ახალი ტექნოლოგიის საშუალებით, ფიკალის გაზიც გაჩნდა, რომელსაც პოლონეთი და გერმანია უკვე აქტიურად აწარმოებს... მაგრამ ეს ყველაფერი არასაკმარისია, რადგან დასავლეთ ევროპის 67% რუსულ გაზს მოიხმარს. შესაბამისად, რუსეთის ჩამნაცვლებლად ყატარი დასახელდა, საიდანაც გაზის მილებს სირიის ტერიტორიაზე უნდა გაევლო. ბაშარ ასადი მორიგი დაბრკოლება გახდა დასავლეთისთვის, რადგან ცნობილია, რომ ის რუსეთის უერთგულესი პარტნიორია და არ დაუშვებდა, რუსეთს ევროპის გაზით მომარაგების საკითხში პრობლემები შექმნოდა. კონფლიქტიც ამაზე აეწყო.

**— ანუ ბლეფია აშშ-ს არგუმენტი, რომ სამხედრო დაპირისპირება სირიის ხელისუფლების მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენების პრევენციისთვის უნდა დაიწყოს?**

— ტრანსნაციონალურ კომპანიებს უარესი ტიპის კონფლიქტიც გამოუწვევიათ. მაგალითად, ერაყის ომი. ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტიც რომ არ დაფიქსირებულიყო, ხელოვნურ მიზეზად მისი დასახელება დასავლეთს არ გაუჭირდებოდა. ფაქტია — სირია ომის ქარცეცხლში გაეხვევა, ამერიკას კი საომარი მოქმედებების საწარმოებლად და საჰაერო იერიშის მისატანად მხოლოდ 60 დღე აქვს. თუ დაპირისპირებაში ირანიც ჩაერთვება, ფრონტის მასშტაბი გაიზრდება და საქართველოც ბუნებრივად ჩაერთვება პროცესებში.

**— საქართველო რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს?**

— საქართველოს, გარკვეულწილად, უკვე შეეხო ეს კონფლიქტი — თბილისში საკმაოდ ბევრ სირიელ დევნილს ვხედავ, რომლებიც ჩვენს მოქალაქეებს ირანელებში ეშლებათ. საქართველო მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება მძიმე მდგომარეობაში, თუ ირანის წინააღმდეგაც დაიწყო სამხედრო დაპირისპირება — რუსეთი სომხეთის ბაზის დაცვას აუცილებლად მოინდომებს და ცხინვალი-ბორჯომის მიმართულებით სახმელეთო კორიდორსაც გაავლებს. კონფლიქტში საქართველოს ჩართვას დაინტერესებული მხარეები სხვადასხვა ფორმით უკვე ცდილობენ. რაც შეეხება ჩვენ როლს, თუ მასშტაბური ომი დაიწყება, ამ შემთხვევაში საქართველოს ინფრასტრუქტურას, სავარაუდოდ, სასაწყობო-საჰოსპიტალო საქმიანობისთვის გამოიყენებენ. ირანის წინააღმდეგ სახმელეთო ინტერვენციის დაწყება კი მსოფლიომ არ უნდა დაუშვას.

**— რუსეთი საქართველოში გაძლიერებასაც შეეცდება? მით უმეტეს, ქართული მხარე მასთან დიპლომატიური თანამშრომლობის აღსადგენად მზადაა.**

— არ მესმის, რა ტიპის საგარეო პოლიტიკას ატარებს ხელისუფლება. იგი ნოემბერში ევროკავშირთან ასოცირებულ წევრობას ხელს აწერს, თუმცა პრემიერი ვაშინგტონსა და მოსკოვში ოფიციალური ვიზიტისგან თავს იკავებს. ფაქტია, ბიძინა ივანიშვილი ამას შეგნებულად აკეთებს და დროსაც ხელოვნურად წელავს. სავარაუდოდ, ცდილობს, საქართველოს რუსეთის მხრიდან უკრაინისა და სომხეთის მსგავსი ზეწოლა აარიდოს — რუსეთმა სომხეთი, პრაქტიკულად, დააჩოქა, როცა ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე უარი ათქმევინა. ივანიშვილი ცდილობს, მსგავსი ტიპის გადაწყვეტილება მისმა შემცვლელმა მიიღოს და ოფიციალურ დოკუმენტზე მისი ხელმოწერა არ დაფიქსირდეს. ჩანს, ივანიშვილი პოლიტიკაში ამერიკა-რუსეთის წინაშე გარკვეული ვალდებულებების შესრულების შემდეგ შემოვიდა. სავარაუდოდ, მას არ სურს, ამ ვალდებულებებს დოკუმენტის სახე მისცეს.

**— როდემდე შეიძლება რუსეთის მიმართ „თმენის პოლიტიკა“ გაგრძელდეს, მით უმეტეს, რომ რუსები პირობით საზღვარს აფართოებენ?**

— მავთულხლართების გადმოწევა დემონსტრაციულად ხდება სწორედ იმ მიზნით, რომ ქართული მხარე მოთმინებიდან გამოვიდეს. რუსეთმა იცის, საქართველოს ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, დათმობაზე არ წავა. მიუხედავად ამისა, უნდა მოვითმინოთ. გადაწყვეტილებების მიღებისას აფხაზებისა და ოსების ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმის ძალა უნდა გვქონდეს, სოხუმსა და ცხინვალში წესრიგი სამხედრო მოქმედებით დავამყაროთ. სხვა მოცემულობა არ გვაქვს. რუსეთი ხომ ისეთი ტიპის სახელმწიფოა, სადაც ოპოზიციაც კი აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსული მხარე სწორად მოიქცა და მეტიც, მედვედევმა შეცდომა დაუშვა, როცა თბილისიც არ აიღო. ამ ფონზე, მოქნილი პოლიტიკის გატარება ბევრად გამართლებულია.

**— ევრაზიის კავშირში გაერთიანებაზე დაფიქრებაც გამართლებულია — თუ იმის უნდა გვჯეროდეს, რომ როგორც ივანიშვილი ამბობს, რუსეთი, შესაძლოა, ნატო-სა და ევროკავშირის წევრი გახდეს?**

— პოლიტიკა თამაშია... ივანიშვილის განცხადებას საზოგადოებაში მწვავე რეაქცია მოყვა. პრემიერს ახლა თამამად შეუძლია რუს კოლეგებს უთხრას, ხომ ხედავთ, როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს ევრაზიის კავშირზე, თქვენთან გაერთიანება არ გამოვაო. ვფიქრობ, ეს ივანიშვილის ერთგვარი პოლიტიკური მანევრია. ადამიანისგან, რომელმაც ცხოვრების საკმაოდ მნიშვნელოვანი წლები რუსეთში გაატარა და სოლიდური ქონებაც რუსეთის ფედერაციაში დააგროვა, მსგავსი რამ არ მიკვირს. პირიქით, ის უფრო გამიკვირდა, როცა პოლიტიკაში შემოსვლისთანავე უაღრესად პროდასავლური პოლიტიკა დააფიქსირა. მომგებიან დროს უნდა დაველოდოთ, ევრაზიის კავშირის შექმნა პუტინს არ გამოუვა — დღეს ამის არც ფინანსური რესურსი გააჩნია, არც ინტელექტუალური. შესაძლოა, რაღაც ტიპის გაერთიანება შეიქმნას, მაგრამ დიდხანს ვერ იმუშავებს. ამ იდეას რუსეთის მოკავშირე ქვეყნებიც კი ეწინააღმდეგებიან, რუსეთი თავადაა პრობლემების წინაშე და ლამისაა დაიშალოს. ის ბუნებრივი რესურსების გაყიდვის ხარჯზე ცხოვრობს და ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, მოწინავე სახელმწიფოებს საკმაოდ ჩამორჩება. საკმარისია, ენერგომატარებლების ფასი დაეცეს, რომ რუსეთში ეკონომიკური სტაგნაცია დაიწყება. დასავლეთმა ეს ერთხელ 90-იან წლებში უკვე გააკეთა და საბჭოთა კავშირიც დაიშალა. უნდა დაველოდოთ მომენტს, როცა რუსეთს არ ექნება შესაძლებლობა, ევროპას ნედლეულის საშუალებით საკუთარი ნება უკარნახოს.

**— ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკიდან მისი წასვლის შემდეგ პრობლემები საქართველოს არ შეექმნება. პრემიერის ამ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებთ?**

— პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლას საკმაოდ მუქ ფერებში ვხედავ, რადგან ერთი წელია, პოლიტიკური ბრძოლა ისე მიმდინარეობს, ქვეყანაზე არავინ ფიქრობს. რეგიონებში ბევრი პრობლემა დაგროვდა. მთავრობის წევრები კი სულ სხვა თემების გადაჭრაზე ფიქრობენ. თუ საზოგადოების კონსოლიდირება არ მოხდა, ივანიშვილის წასვლის შემდეგ, პოლიტიკურ ძალებს შორის გავლენის მოსაპოვებლად უმოწყალო ბრძოლა დაიწყება. ვშიშობ, ურთიერთდაპირისპირებას ქვეყანა არ გადააყოლონ. ისე, მის გადაწყვეტილებას რომც არ ეთანხმებოდნენ, არაფერი შეიცვლებოდა — ივანიშვილს განსხვავებული აზროვნება აქვს, როცა საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულია, სხვების არგუმენტები არ ესმის.

**— ანუ პრემიერს განსხვავებული აზრის მოსმენა უჭირს?**

— განსხვავებული აზრის მოსმენა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში თავს კომპეტენტურად არ მიიჩნევს. არადა, საზოგადოებრივი სექტორიდან ქვეყნის მართვა გამართლებული სულაც არაა. ამგვარმა მიდგომამ 50-60-იან წლებში იტალია დაღუპვის პირას მიიყვანა. ჩანს, ბიძინა ივანიშვილს ჯორჯ სოროსის როლის შესრულება სურს, მაგრამ ეს ფორმა საქართველოში არ იმუშავებს, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მის შემცვლელად ძლიერ პრემიერსაც ვერ ვხედავ.

# რუსეთის ახალი მზაკვრული გეგმა

დავით დევიძე
593-219-042

**ვიდრე ექსპერტები კამათობენ, იმოქმედებს თუ არა ამერიკა-სირიის კონფლიქტი საქართველოზე, მოვლენათა ეპიცენტრში აღმოვჩნდით — ამერიკელი ექსპერტი გორდონ დაფი მოსკოვში (!) სკანდალურ განცხადებას აკეთებს, თითქოს რამდენიმე დღის წინ გამოყენებული ქიმიური იარაღი, რომელსაც სირიაში უამრავი ადამიანი ემსხვერპლა, თბილისში დამზადდა. ცნობა სასწრაფოდ აიტაცა რუსულმა პრესამ და საქართველოს წინააღმდეგ ბრალდებათა ნიაღვარი წამოვიდა, პრაქტიკამ კი, არაერთხელ აჩვენა, რომ მსგავსი ბრალდებების უკან, ხშირად კრემლის გარკვეული ზრახვები იმალება. ამჯერად, რა შეიძლება ჰქონდეს ჩაფიქრებული ოფიციალურ რუსეთს? ამ კითხვაზე პასუხს, წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერი ვაჟა წიკლაური „ვერსიასთან“ ერთად ეძებს.**

— საინტერესოა, რომ ამ განცხადებას მოსკოვში აკეთებს არა რომელიმე რუსი პოლიტოლოგი, არამედ ამერიკელი ექსპერტი. ჩანს, რუსებმა წინასწარ განსაზღვრეს, რომ სკანდალური განცხადება საქართველოს დისკრედიტაციის მოსურნე მხარის პროვოკაციად არ აღქმულიყო.

**— პროვოკაციად კი არა, ქართულმა მხარემ ეს განცხადება სერიოზულადაც კი არ აღიქვა...**

— სწორედ ამიტომ ვუშვებთ საბედისწერო შეცდომებს. მთავარი ის კი არაა, დამზადდა თუ არა ქიმიური ნივთიერება თბილისში, მთავარია, როგორ გამოიყენებს მოსკოვი ამ ფაქტორს. დაფი ამბობს: მომწამვლელი ნივთიერება დამზადდა თბილისში, ამერიკელების მიერ აშენებულ ლაბორატორიაშიო. მართალია, არ აკონკრეტებს, მაგრამ ასეთი ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრია. მისი ვერსიით, ეს ნივთიერება თბილისიდან გაიტანეს უკრაინელებმა და თურქეთის გავლით შეიტანეს სირიაში. გორდონ დაფი ამბობს, რომ აქვს ამ ინფორმაციის დამამტკიცებელი ყველა დოკუმენტი და ვნახოთ, რას წარმოადგენს, მაგრამ ჩვენთვის ძალიან აუცილებელია ანალიზი, რა ჩაიფიქრა რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ.




**— ამ განცხადების უკან რუსეთის რა განზრახვა შეიძლება იმალებოდეს?**

— მოვლენები სხვადასხვაგვარად შეიძლება განვითარდეს, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდებით, თუ ახლო აღმოსავლეთის ეს კრიზისი ომში გადაიზრდება. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთის ამოცანაა, მსგავსი ომის დროს თურქეთის საზღვრებთან გაამაგროს პოზიციები. ასეთი დოქტრინა აქვს, მინიმუმ, სტალინის ეპოქიდან მოყოლებული. თურქეთის საზღვრიდან რუსეთის საზღვრამდე ტერიტორია განიხილება ბუფერულ ზონად. გამორიცხული არაა, ომის პირობებში ამ გეგმის ამოქმედების მიზნით, რუსებმა ჯარი შეიყვანონ დასავლეთ საქართველოში. მეორე მხრივ, ამ ომს შეიძლება მოჰყვეს ირანის გააქტიურება, რომელიც, სავარაუდოდ, ხელსაყრელი მომენტით ისარგებლებს და ისრაელის წინააღმდეგ წამოიწყებს საომარ კამპანიას. ამ შემთხვევაშიც, რუსეთს ეძლევა საბაბი, რეგიონში სიმშვიდის შენარჩუნების ეგიდით, ასევე შეიყვანოს ჯარები აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანში. მოკლედ, რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნება საქართველოს სრული ოკუპაციისთვის. მოსკოვი, ვითარებას ხელოვნურად ამძაფრებს — თუ მსოფლიოს დაუსაბუთებს, რომ ქიმიური იარაღით ვამარაგებთ ისლამურ ქვეყნებს, ომის გარეშეც შეძლებს საქართველოს ოკუპაციას. კრემლში ძალიან უყვართ ამერიკელების ჯიბრზე მოქმედება. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ რუსებმა არც დამალეს, რომ აფხაზეთ-ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება ამის საპასუხო ნაბიჯი იყო — საქმეც გააკეთეს და ნიშნიც მოუგეს ამერიკელებს. სადამ ჰუსეინის ერაყს, თავის დროზე, ამერიკამ იმიტომ დაარტყა, თითქოს იქ არსებული ქიმიური იარაღის საწყობების განადგურება სურდა, რაც საბაბი იყო, თორემ ამერიკელებს ჰუსეინის რეჟიმის დამხობა უნდოდათ. იქ ქიმიური ქარხანა კი არა, კოლბაც ვერ ნახეს. დღეს უკვე რუსები იწყებენ საქართველოში არსებულ ქიმიურ ქარხნებზე საუბარს.

**— ამ ფონზე, საქართველოს ხელისუფლებამ რა ნაბიჯები უნდა გადადგას?**

— ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. არ უნდა მივცეთ საშუალება რუსეთს, რაიმე სახის პროვოკაციაზე წამოგვაგოს. საბედნიეროდ, ამერიკის ელჩის, ნორლანდის განცხადება და ქიმიური იარაღის არსებობის გადაჭრით უარყოფა ნიშნავს, რომ ამერიკა ამ განსაცდელში მარტო არ მიგვატოვებს. ეს დიდი სტიმულია. საბოლოოდ კი, ყველაფერი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, რა მეთოდებით მოგვარდება ამერიკა-სირიის კრიზისი.



## საქალაქო ტრანსპორტის მძღოლების პროტესტი ქუთაისში

ქუთაისს გაფიცვის მორიგმა ტალღამ გადაუარა — საქალაქო ხაზებზე მომუშავე მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მძღოლებმა, პროტესტის ნიშნად, ტრანსპორტი ქალაქის მერიის შენობის წინ დააყენეს.

მძღოლები 30 თეთრად მუშაობასა და ქალაქში ახალი სამარშრუტო ხაზების გახსნას აპროტესტებენ.

შპს „სიტილაინის" ექსპლოატაციის უფროსის თენგიზ ლომიძის თქმით, ქუთაისი ერთადერთი ქალაქია, სადაც მძღოლები 30 თეთრად ემსახურებიან მგზავრებს: **„დღევანდელი ჩვენი მოქმედება გაფიცვა არ არის. უზომოდ გაჭირვებულები არიან ავტობუსების მძღოლები, დაისვა მგზავრობის ღირებულების ზრდის საკითხი, მერიისგან მივიღეთ პასუხი, რომ ამას მომზადება და შესწავლა სჭირდებოდა, რასაც დავეთანხმეთ, თუმცა ახლა ახალი ხაზები იხსნება თაბუკაშვილის ქუჩასა და ავტოქარხანაში. მგზავრები ისედაც არ გვყავს. ტრანსპორტი კიდევ რომ დაგვემატება, ფიზიკურად ვერ ვიმუშავებთ".**

შპს „სიტილაინი" თაბუკაშვილის ქუჩაზე მოძრავი 5 და 20 მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მფლობელია. ამ დროისათვის, აღნიშნულ ქუჩაზე 18 ერთეული სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს. ახალი ხაზის, 75-ის გახსნის შემდეგ კი მათი რიცხვი 21-მდე გაიზრდება.

ქუთაისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ დამატებულია მხოლოდ ერთი ხაზი და ეს გადაწყვეტილება, უწყებამ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით მიიღო.

*„ვერსიანიუსი"*



## 80-ათასლარიანი დავალიანების გამო ქობულეთში მამაკაცმა თავი მოიკლა

ქობულეთში, 60 წლის ბადრი უჯმაჯურიძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თვითმკვლელობის მიზეზი ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციების მიმართ 80-ათასლარიანი დავალიანება გახდა. ეს სავალალო ინფორმაცია უფლებადამცველმა თამაზ ბაკურიძემ გაავრცელა. მისი თქმით, ერთ-ერთ მევალესთან მკაცრი სატელეფონო საუბრის შემდეგ, უჯმაჯურიძემ ცეცხლსასროლი იარაღით მოისწრაფა სიცოცხლე: **„თუ ხელისუფლება დავალიანებებთან დაკავშირებით დანაპირებს არ აასრულებს, მსგავსი თვითმკვლელობა და სხვა ტიპის ტრაგედიები შეიძლება, უფრო გახშირდეს. დავალიანებების პრობლემის მოგვარების დაპირება კი, უშუალოდ პრემიერ-მინისტრმა მისცა ქობულეთელებს 2012 წლის სექტემბერში".**

*„ნიუპოსტი"*

# ლაზიკას პროექტის გაცოცხლებას ექსპერტები აბსურდულს უწოდებენ



**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა — ახალი ქალაქის, ლაზიკას მშენებლობა, შეცვლილი მთავრობის პირობებში დაიბლოკა, თუმცა ცოტა ხნის წინ, სააკაშვილმა ბათუმში გერმანელ და ქართველ ინვესტორებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ისინი მზად არიან, მხარი დაუჭირონ ამ პროექტს; მეტიც, პრეზიდენტის განცხადებით, შეიქმნება სააქციო საზოგადოება, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს ლაზიკას მშენებლობას. ექსპერტები ამას გამორიცხავენ და ამბობენ, რომ ინვესტორი ფულს საქმეში ისე არ ჩადებს, სანამ ეკოლოგების, ეკონომისტებისა და დემოგრაფების საბოლოო შეფასებას არ ნახავს, ეს შეფასება კი დადებითი ნამდვილად არ იქნება, რადგან იქ ისეთი ნიადაგია, ქალაქის მშენებლობა გამორიცხულია.**

ლაზიკას მშენებლობის ინიციატივა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირველად 2011 წლის 5 დეკემბერს, ზუგდიდში გააჟღერა, მშენებლობა 2012 წლის მაისიდან უნდა დაწყებულიყო, მანამდე კი, გეგმის თანახმად, ტენდერი გამოცხადდებოდა და პირველ ეტაპზე ქალაქის მშენებლობაში კერძო ინვესტიციები ჩაიდებოდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ახალმა ხელისუფლებამ პროექტის განხორციელებაზე უარი თქვა, მაგრამ დასაწყისში ახალ მთავრობაშიც აზრთა სხვადასხვაობა იყო.

ეკონომიკის მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** აღნიშნავდა, რომ ეს იყო სერიოზული ეკონომიკური პროექტი: **„ესაა სერიოზული ეკონომიკური პროექტი, რომელიც კარგად უნდა შევისწავლოთ. ვფიქრობ, ნებისმიერ შემთხვევაში, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციის განვითარება ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლოა. დავუშვათ, გაკეთდება პორტი, სარკინიგზო ხაზი, კომუნიკაციები, საბითუმო სატვირთო გადაზიდვის ცენტრი... ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ძალიან სასარგებლო იქნება, ამ ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება".**

განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილის. **„ესაა სააკაშვილის მორიგი ტრიუკი. ვის სჭირდება ქალაქი ჭაობზე, როდესაც ნახევარი საქართველო დაცლილია? ამის არანაირი სახსრები არ არსებობს",** — განაცხადა ივანიშვილმა 2 ოქტომბერს.

დღეს კი, ლაზიკას პროექტის განხორციელებას პრეზიდენტი კვლავ აანონსებს გერმანელი ინვესტორების იმედად: **„ჩვენ შევქმნით სააქციო საზოგადოებას, მოვიწვევთ ბევრ ინვესტორს, რამდენიმე უკვე გამოჩნდა, დავგეგმავთ ლაზიკას პორტს და ქალაქს მის გარშემო; ხალხი თვითონ აამუშავებს ამ პროექტს, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება საქართველოს მთავრობაში იმიტომ, რომ ესაა სწორი და ამ მიმართულებით ვიწყებ კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას პრეზიდენტობის დროს და ვაპირებ, გავაგრძელო პრეზიდენტობის შემდეგ".**

დემოგრაფი, სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ანზორ თოთაძე** ლაზიკას პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საუბრობს: **„ამ ტერიტორიაზე არ შეიძლება ქალაქის გაშენება. ტექნიკა ძალიან დაიხვეწა, მაგრამ იგი ბუნების წინააღმდეგ ვერ წავა. ერთ მაგალითს მოგიყვანთ — ფოთში, 40-იან წლებში, ზღვიდან 1 კილომეტრის დაშორებით აშენდა იპოდრომი, რომელიც 70-იან წლებში წყალქვეშ აღმოჩნდა. ლაზიკას შემთხვევაშიც ჭაობების დაშრობა გამოიწვევს ზღვის მხრიდან მიწების მიტაცებას და ამ ქალაქში, თუ რა თქმა უნდა აშენდა, ცხოვრება მოსახლეობისთვის საშიში გახდება... ვთქვათ, ინვესტორებისა და ბიუჯეტში გამოყოფილი თანხებით მართლაც გაკეთდა რაიმე. ამ ქვეყანაში ყველაფერი იყიდება და გგონიათ, ლაზიკაში თუ რამე ღირსეული შეიქმნება, ის ჩვენს კუთვნილებში დარჩება?! რა თქმა უნდა — არა, გაყიდიან ინვესტორებზე და ამით შეეცდებიან ვითომ ბიუჯეტის შევსებას".**

თოთაძისვე განცხადებით, ინვესტორი საქმეში ფულს ისე არ ჩადებს, რომ მოტყუვდეს. ის იმოქმედებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნახავს ეკოლოგების, ეკონომისტებისა და დემოგრაფების საბოლოო შეფასებას: **„ამ საქმის ექსპერტები დადებით დასკვნას არ დადებენ, რადგან იქ ისეთი ნიადაგია, ქალაქის მშენებლობა გამორიცხულია ანუ ლაზიკაში ინვესტორების შემოსვლა გამორიცხულია".**

*სალომე სიგუა, „გურიანიუსი"*

## კანდიდატი

*მე-7 გვერდიდან*

# „სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვა და პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლა მეორედ მოსვლის ნიშნებია"

პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს! არ შეიძლება, სუფრასთან ორი თამადა იყოს, თამადის მოადგილეობა კი პრემიერობას არ ნიშნავს. აბა, დღეს ხომ ხედავთ, ქვეყანა შუაზე როგორ იგლიჯება! თუმცა ბატონ ბიძინას იმ ყველაფრისთვის, რაც ქვეყანას გაუკეთა, ჩემს პატივისცემას ვუდასტურებ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავის ბოლო განცხადებაში აღიარა, რომ ხალხმა პროგრამის გამო კი არა, სააკაშვილის გასაშვებად აირჩია.

**— ამ თემაზე თქვენი ერთი განაცხადია ძალიან პოპულარული — ციკლონი და ივანიშვილის ბოლო განცხადება მეორედ მოსვლის ნიშანიაო. ციკლონი კიდევ ჰო, მაგრამ ივანიშვილმა რა თქვა ასეთი?**

— ახლავე აგიხსნით რამდენიმე საიდუმლოს — ნახეთ, როგორაა აღწერილი ბიბლიაში საქართველოში ბოლო ჟამს მიმდინარე მოვლენები: მითითებულია, რომ 70 წელიწადი რომელიღაც ქვეყანა ჩრდილოეთის მეფის ტყვე უნდა იყოს.

**— ეს ჩვენ და რუსეთი ვართ?**

— დიახ, საუბარია 1921-1991 წლებზე. შემდეგ წერია, რომ 70 წლის ბოლოს მოდის ცხებული მეფე, რომელსაც 62 კვირის მერე მოკვეთენ ტახტიდან. 62-ჯერ 7 დღე 434 დღეა — 1990 წლის 28 ოქტომბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე და ზუსტად 434 დღეში ზვიად გამსახურდიასაც მოკვეთენ. ამის მერე 4 მეფე ერთდროულად უნდა მოვიდეს და მათგან ერთმა დანარჩენი სამი დაამარცხოს. საუბარია შევარდნაძე-სიგუა-კიტოვანი-იოსელიანზე. შევარდნაძემ დანარჩენი სამი მოიცილა. ამის მერე წერია, რომ ეს მეოთხე ხელისუფლებაში 10,5 წელი იქნება. მართლაც — 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში რომ გაიმარჯვა შევარდნაძემ, 2003 წლის აპრილში 10,5 წელი შეუსრულდა. 5 აპრილს მან საარჩევნო ბლოკი „ერთიანი საქართველოსთვის" ჩამოაყალიბა, რომელმაც საქმიანობა ნოემბერში, „ვარდების რევოლუციით" დაასრულა. ამის შემდეგ ბიბლიაში წერია, რომ ბოლო ჟამის შეცნობა სამი მეფის ერთდროულად მოსვლით შეიძლება — ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილი. ამ სამიდან შუათანა კი უცებ გაუჩინარდება.

**— ჟვანიას სიკვდილი ბიბლიაში იყო ნაწინასწარმეტყველევი?**

— მეტიც, მითითებულია, მარჯვენა თავი მარცხენას შთანთქავსო — სააკაშვილმა ბურჯანაძე არჩევნებში მართლაც დაამარცხა. ბიბლიაში წერია, დაქუცმაცდება ეს ტერიტორია და სხვათა ხელში გადავაო, ეს აგვისტოს ომია 2008 წელს. ამის მერე სააკაშვილს ბიბლიაში 3,5 წელი აქვს გამოყოფილი. ამის მერე დაჯდება სამსჯავრო და წაართმევს მას ხელმწიფობას. 3,5 წელი 2011 წლის ოქტომბერში გავიდა — სწორედ 7 ოქტომბერს გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი და დაიწყო სააკაშვილის მხილების ახალი ტალღა.

**— უკაცრავად, ივანიშვილი სააკაშვილის ზეციური სამსჯავროა?**

— სააკაშვილს ჩვენც ვამხელდით აქამდე, უბრალოდ, 6 მილიარდს უფრო დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 1-ლი ოქტომბრის მერე ორი სახელისუფლო ვერტიკალი ჩამოყალიბდა და ბიბლია ამბობს — ორნი დასასრულამდე დარჩებიანო და იქვე განმარტავს — შფოთით აღსავსეა ეს სამეფოო.

**— ორნი რის დასასრულამდე დარჩებიან — სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის თუ ქვეყნიერების?**

— ეს ყველაფერი მეორედ მოსვლას უკავშირდება. საკმარისია, ამ ორს ერთი გამოაკლდეს, რომ დასასრული დადგება! ამასობაში, ივანიშვილიც აკეთებს განცხადებას, მივდივარო და აი, ჩემი ფრაზის ახსნაც.

**— სააკაშვილის ან ივანიშვილის წასვლის მერე მეორედ მოსვლა თუ უნდა დაიწყოს, ნუ გავუშვებთ მაშინ ამ ხალხს!**

— ივანიშვილის წასვლის ფენომენს სააკაშვილის ვადის ამოწურვა ემთხვევა — ჩვენ დიდ მიჯნასთან ვართ! როგორ, არ გვინდა უფლის მეორედ მოსვლა და ამქვეყნიური ტანჯვის გაგრძელება გვსურს? ცნობილ მაგალითს გეტყვით: დედის საშოში ორი ტყუპია და ერთი მეორეს ეუბნება — რა კარგია, დავიბადებით და გარესამყაროს ვნახავთო. მეორე ამბობს, რომ არანაირი გარე სამყარო არ არსებობს. ახლა ჩვენც დედის საშოში ვართ და მეორედ მოსვლის მერე გარე სამყაროში უნდა გამოვიხედოთ!



# პუტინი სტალინი არ არის



დიმიტრი საიმსი

THE NATIONAL INTEREST

იმ დროს, როდესაც მსოფლიო ლიდერები სანკტ-პეტერბურგში „დიდი ოცეულის“ ყოველწლიურ სამიტზე შესახვედრად ემზადებიან, ისინი ფრთხილად უნდა მიუდგნენ ერთ, სულ უფრო და უფრო პოპულარულ პოლიტიკურ ფენომენს. მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინი მესამედ გახდა რუსეთის პრეზიდენტი, ბევრი მეცნიერი, ჟურნალისტი თუ პოლიტიკოსი არწმუნებს ამერიკის მთავრობას, თითქოს თანამედროვე რუსეთი იოსებ სტალინის საბჭოთა კავშირის ერთგვარი რეინკარნაციაა. ეს ძალიან სახიფათო შეცდომაა, რომელთან ბრძოლაც აუცილებელია.

Pussy Riot-ის წევრების გასამართლების შემდეგ, Washington Post-მა სარედაქციო წერილში უმალ გაავლო პარალელი ქალთა ამ პანკჯგუფს სტალინის რეპრესიის მსხვერპლთა შორის. მოგვიანებით, ივნისის დასაწყისში, ვაშინგტონში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, რუსმა აქტივისტმა, ბორის ნემცოვმა პუტინს „სტალინისა და აბრამოვიჩის თანამედროვე მიქსი“ უწოდა და დასძინა, რომ სტალინი, რომელსაც იგი მკვლელად მიიჩნევს, მაგრამ არა კორუფციონერად, მისთვის ამ ორი ვარიანტიდან უკეთესია, ყოველ შემთხვევაში, ზნეობრივი თვალსაზრისით. ახლახან, სტივენ ბლენკმა US News & World Report-ში დაწერა: „საკუთარი ავტოკრატიული მისწრაფებებით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და მისმა მთავრობამ იოსებ სტალინის ეპიკურ მიღწევებს გადააჭარბეს“. პუტინმა სკოლებში ბავშვების ფიზიკურ აღზრდას მეტი ყურადღება რომ დაუთმო, ზოგიერთმა ჟურნალისტმა მისი სტალინთან მსგავსების მტკიცებულებად შეაფასა. პუტინის მთავრობის საქმიანობის შედეგები კორუფციასთან ბრძოლისა და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით, უკეთეს შემთხვევაში, უკიდურესად ზედაპირულია, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თანამედროვე რუსეთი საბჭოთა კავშირის რეინკარნაციაა. ასეთი ინტერპრეტაცია არა მხოლოდ შეცდომაა, არამედ სერიოზულად უშლის ხელს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დაიცვას ნაციონალური ინტერესები რუსეთთან მიმართებაში. თუკი თქვენ ვინმეს დემონიზებას ახდენთ, ეს დიდწილად, ართულებს თქვენს თანამშრომლობას საერთო ინტერესების რეალიზაციისთვის.

**ვთქვათ ის, რაც აშკარაა — სტალინის რეჟიმის მიერ დახოცილი ადამიანების რიცხვი მილიონობით იზომება და ზოგიერთი შეფასებით, 60 მილიონს აღწევს. პუტინის შემთხვევაში, არა მხოლოდ არაფერი ადასტურებს, რომ მან ვინმე მოკლა, არამედ იგი ამაში არც არავის დაუდანაშაულებია. სტალინის დროს პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა ნებისმიერი ფორმით უმკაცრესად იყო აკრძალული — უკმაყოფილო ადამიანებს ან ხვრეტდნენ ან ასახლებდნენ. პუტინის მმართველობის დროს, რუსეთში არსებობს უამრავი ოპოზიციური გამოცემა და პარტია, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკაზე მათი გავლენის შესაძლებლობა შეზღუდულია. მეტიც, სტალინი ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა, რაზეც მიუთითებს პოლონეთსა და ფინეთში ინტერვენცია 1939 წელს, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაცია მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, რუსეთი კი, 1990 წლის შემდეგ, მხოლოდ ერთ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდა სხვა სუვერენულ სახელმწიფოსთან და მაშინაც ევროკავშირის მიერ შექმნილმა დამოუკიდებელმა კომისიამ დაასკვნა, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის კატალიზატორი გახდა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შეჭრა სამხრეთ ოსეთში.**

ივლისში, მოსკოვში ვახლდი ნაციონალური ინტერესების ცენტრის დელეგაციას. შემთხვევით ვისარგებლე და წიგნის რამდენიმე მაღაზიაში შევიარე. ყველაზე მეტად თვალში მომხვდა, რომ ყველა მაღაზიაში იყო ცალკეული, ანტისამთავრობო ლიტერატურისადმი მიძღვნილი განყოფილება. ცხადია, ამ მაღაზიების მფლობელებს არ ეშინიათ პუტინის ადმინისტრაციის მხრიდან დევნის, რადგან ისინი მთავრობის კრიტიკოსებს მხარს უჭერენ. შიში არ იგრძნობოდა არც რუსეთის ოპოზიციის თვითგამოცხადებულ წევრებთან საუბრებში. ეს ადამიანები, რომლებსაც კარგად ვიცნობ და ვენდობი, ღიად გამოხატავდნენ იმედგაცრუებას რუსეთში დღეს არსებული ვითარების გამო. სტალინის დროს კი ადამიანები პოლიტიკური ანეკდოტების მოყოლასაც ვერ ბედავდნენ შიშით, რომ ამისთვის ან დახვრეტდნენ ან ციმბირის ბანაკებში გადაასახლებდნენ.

ამ წლის დასაწყისში, სახელმწიფო არხზე „როსია 1“, ვლადიმერ სოლოვიოვის გადაცემაში დებატები გაიმართა სახელმწიფო დუმის საგარეო პოლიტიკური კომიტეტის ხელმძღვანელ ალექსეი პუშკოვსა და ცნობილ ოპოზიციონერ დიმიტრი გუდკოვს შორის. შესავალ სიტყვაში გუდკოვმა დაგმო მმართველი პარტია „ერთიანი რუსეთი“, განაცხადა რა, რომ „სინამდვილეში, ისინი არა პატრიოტები, არამედ ფარისევლები არიან, რომლებსაც ჰყოფნით თავხედობა გვასწავლონ, როგორ გვიყვარდეს სამშობლო“. ამ გადაცემაში მან პუტინის მხარდამჭერებს „უზურპატორები“ და „გამყალბებლები“ უწოდა. დიმიტრი გუდკოვი არ არის ერთადერთი ოპოზიციონერი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია სოლოვიოვის თოქ-შოუში. მათ შორის იყვნენ: ილია პონომარიოვი, ალექსეი ვენედიქტოვი, სერგეი უდალცოვი, დიმიტრი ბიკოვი და ნიკოლოზ ალექსეევი – სექსუალური უმცირესობების უფლებების ცნობილი დამცველი რუსეთში. აღსანიშნავია, რომ გულწრფელობა, რომელიც სოლოვიოვის თოქ-შოუსთვისაა დამახასიათებელი, არ არის ნორმა რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიისთვის, რომელიც ვერანაირად ვერ ჩაითვლება დამოუკიდებელი აზროვნების მაგალითად. მიუხედავად ამისა, სოლოვიოვის თოქ-შოუს მსგავსი სატელევიზიო პროგრამების არსებობა ადასტურებს, რომ რუსეთში არის ადგილები, სადაც შეიძლება დისკუსიების ღიად წარმართვა და საკუთარი პროტესტის გამოხატვა. არადა, მსგავსი რამ ხომ არ ხდება აშშ-ს ზოგიერთ მოკავშირე ქვეყანაში, როგორიცაა საუდის არაბეთი და ყატარი, რომ აღარაფერი ვთქვათ სტალინური რუსეთის ტოტალიტარულ კოშმარზე.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც სტალინის სსრკ-ს და რუსეთის შედარებისთვის იყენებენ, რუსული სასამართლო სისტემაა. არავინ დავობს, რომ რუსული სამართლებრივი სისტემა იდეალური არ არის, მაგრამ მასა და სტალინის სისტემას შორის უამრავი სხვაობაა. მოსკოვის საჩვენებელ პროცესებზე მსჯავრდებულებს აწამებდნენ და აშანტაჟებდნენ მანამ, სანამ ისინი არ დათანხმდებოდნენ, ხელი მოეწერათ ცრუ აღიარებაზე. პროკურორის ბრალდების გასაჩივრება არავის მოსდიოდა აზრად. ბევრი ბრალდებული, მათ შორის, ლევ კამენევი და ნიკოლოზ ბუხარინი სიკვდილით დასაჯეს. დღეს ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი არა მხოლოდ უარყოფს პროკურატურის ბრალდებებს, არამედ ადვოკატებიც ჰყავთ, რომლებიც შემართებით იცავენ საკუთარი კლიენტების ინტერესებს.

ბებიაჩემი დინა კამინსკაია ბრეჟნევის ეპოქაში წამყვანი უფლებადამცველი იყო — სასამართლოში ბევრი გამოჩენილი დისიდენტის, მათ შორის, ვლადიმერ ბუკოვსკისა და პავლე ლიტვინოვის ინტერესებს წარმოადგენდა. იმის გამო, რომ გაბედა, დაეცვა საბჭოთა სახელმწიფოს მტრების უფლებები, იგი არა მხოლოდ გარიცხეს მოსკოვის საადვოკატო პალატიდან, არამედ დაჭერის მუქარით, ბოლოს საბჭოთა კავშირის დატოვება აიძულეს. თანამედროვე რუსეთში ბრეჟნევის ეპოქის იდენტური რეპრესიები არ არსებობს, რომ აღარაფერი ვთქვათ სტალინის ეპოქის რეპრესიებზე, რომელთან შედარებითაც, ბრეჟნევის პოლიტიკა ძალიან ლიბერალურად მიიჩნევა.

ვლადიმერ პუტინის რუსეთი არ არის სტალინის საბჭოთა კავშირი, თუმცა მას ვერც ჯეფერსონისეული დემოკრატიის ბასტიონს უწოდებ. უდავოა, სამოქალაქო თავისუფლებების მიმართულებით რუსეთს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, თუმცა ეს სულაც არ არის საბაბი მისი კარიკატურული იერის პოპულარიზაციისთვის. თუკი ამერიკის შეერთებულ შტატებს ინფორმირებული და ეფექტური საგარეო პოლიტიკის წარმოება უნდა, ის რუსეთს ობიექტურად უნდა მიუდგეს და არ დაუშვას, რომ მის ქმედებებზე გავლენას ახდენდეს მცდარი მოსაზრებები. მტკიცება, რომ ზნეობის თვალსაზრისით, პუტინი და სტალინი ერთ საფეხურზე დგანან, არა მხოლოდ მცდარია, არამედ მსგავსი განცხადებები აკნინებს იმ ადამიანთა მსხვერპლს, რომლებიც სტალინის ტირანიის დროს დაიღუპნენ.

## აფხაზეთში რუსეთის საკონსულოს ჩინოვნიკი მოკლეს

საქართველოსგან გამოყოფილ რეგიონში, აფხაზეთში, რუსეთის საკონსულოს თანამშრომელი მოკლეს.

სოხუმის პოლიციის წარმომადგენელთა ცნობით, 9 სექტემბერს, დილით, როდესაც რუსეთის საკონსულოს პირველი მდივანი, 36 წლის დიმიტრი ვიშერნევი სამსახურში საკუთარი ავტომანქანით გამგზავრებას აპირებდა, უცნობმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.

ვიშერნევის მეუღლე, რომელიც ასევე იჯდა ავტომანქანაში, დაიჭრა და საავადმყოფოშია გადაყვანილი. პირველადი ცნობებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სხვა დეტალების შესახებ არაფერი თქმულა.

რუსეთის საკონსულო აფხაზეთში და საქართველოსგან გამოყოფილ მეორე რეგიონში, სამხრეთ ოსეთში, მეხუთე წელია ფუნქციონირებს.

საქართველოს სეპარატისტული რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ხანმოკლე ომის დასრულებიდან მალევე აღიარა.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 9 | | 6 | 3 | | 4 |
| | 6 | | | | 5 | | | 2 |
| 3 | | 8 | 4 | | | | | |
| | | 3 | 2 | 4 | | | | 8 |
| | | | | | | | | |
| 7 | | | | 1 | 8 | 5 | | |
| | | | | | 2 | 8 | | 5 |
| 2 | | | 8 | | | | 3 | |
| 9 | | 5 | 3 | | 7 | 4 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 | | | | 3 | |
| 6 | | 3 | | 5 | | | | |
| | | | 4 | | 9 | 2 | | |
| 5 | | 1 | | | | | 4 | 6 |
| 8 | | | | 1 | | | | 9 |
| 3 | 2 | | | | | 1 | | 8 |
| | | 9 | 1 | | 4 | | | |
| | | | | 2 | | 8 | | 3 |
| | 6 | | | | 3 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | | | | 7 | |
| | 8 | 5 | 1 | | | | 9 | |
| | | | | | 7 | 3 | 8 | 6 |
| | | 4 | 3 | 1 | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | 2 | 4 | 9 | | |
| 9 | 4 | 8 | 2 | | | | | |
| | 3 | | | | 8 | 2 | 6 | |
| | 1 | | | | 3 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | | | | |
| | | | | | 5 | 8 | 6 | 4 |
| | 7 | | | 9 | 2 | 5 | | |
| | 8 | 3 | 7 | | 6 | | | |
| 7 | | | | | | | | 8 |
| | | | 5 | | 8 | 6 | 9 | |
| | | 1 | 9 | 8 | | | 4 | |
| 5 | 4 | 7 | 6 | | | | | |
| | | | | | | 1 | | |



# ქორწილი ერთ გირვანქა სტერლინგად

არც ისე შეძლებული შოტლანდიელი წყვილის, ჯორჯიანა პორტეუსისა და სიდ ინესის ქორწილში ყველაფერი ტრადიციების დაცვით იყო: პატარძლის თეთრი კაბა, საქორწინო ბეჭდები, სასიამოვნო მუსიკა, სამახსოვრო ფოტოები, წვეულება, კარგი ღვინო და 70-მდე სტუმარი... ეს ყველაფერი კი მხოლოდ ერთი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. სადღესასწაულო ცერემონია წყვილის კოტეჯში გაიმართა, რომელიც პატარძლის მეგობრებმა მინდვრის ყვავილებით, ბაფთებითა და მანათობელი ფარნებით მორთეს, პატარძალს 1960 წელს შეკერილი კაბა ეცვა, რომელიც ადგილობრივი საიტიდან გამოიწერა (ამ ვებ-გვერდზე იმ ნივთების ნუსხას აქვეყნებენ, რომელიც პატრონს აღარ სჭირდება. მსურველი მითითებულ მისამართზე მიდის და ნივთი სახლში მიაქვს), ჯორჯიანას დედა ეკლესიის მრევლია და ჯვრისწერაც უფასოდ გაიმართა. საქორწინო ბეჭდები სიძემ ირმის რქისგან დაამზადა, ფოტოგრაფი წყვილის მეგობარი იყო და, შესაბამისად, მათ უანგაროდ მოემსახურა, სტუმრებმა კი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაითვალისწინეს და წვეულებაზე კერძები და ტკბილეული შინიდან მიიტანეს. შედეგად, ქორწილიც საკმაოდ მხიარული იყო. ხელოვანების წყვილი ვართ, ჩვენ ცხოვრებას ისეთს ვიღებთ, როგორიც არის. მართალია, არც ძვირფასი კაბა მეცვა და ვერც შთამბეჭდავი ქორწილით დავიკვეხნი, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი დღე, ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებთან ერთად გავატარე, — განაცხადა პატარძალმა.

# ჩიფსი კოლას არომატით

ცოტა ხნის წინ ამომავალი მზის ქვეყანაში გასაყიდად გამოვიდა ახალი ჩიფსი, რომელსაც კოკა-კოლას არომატი აქვს. მიუხედავად გემოს კონტრასტულობისა, სიახლემ მომხმარებლებში ფურორი უკვე მოახდინა — როცა მიირთმევ საკვებს, რომელიც ჩიფსს ჰგავს და კოლას გემო აქვს, ის ტვინს კვებავს და ადამიანს გამოაცოცხლებს, — ამბობს სიახლის ერთ-ერთი ავტორი, რომელიც საკვებისადმი მიჩვევის საკითხებს იკვლევს... თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩიფსი „კოკა-კოლას“ არომატით შეზღუდული რაოდენობით გამოუშვეს და მის გატანას მსოფლიო ბაზარზე იაპონელები არ აპირებენ.



# კარტოფილი — ვიტამინების „საწყობი"



ახალი გამოკვლევის შედეგად ბრიტანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ კარტოფილი დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებებს, ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს და ორგანიზმისთვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე დიეტოლოგების მიერ რეკომენდებულ ჭარხალს, ბროკოლს, ბანანს, ნიგოზსა და ავოკადოს. სპეციალისტებმა კარტოფილს ყველაზე იაფი და სასარგებლო დიეტური პროდუქტი უწოდეს და ამ ბოსტნეულის მოხმარებას დღეში ორჯერ გვირჩევენ, რადგან ხელს უწყობს სისხლის წნევის რეგულირებას და არც წონაში მომატებას იწვევს. კანიანად მოხარშული კარტოფილი ხუთჯერ მეტ უჯრედისს შეიცავს, ვიდრე საშუალო ბანანი და სამჯერ მეტ „ცე“-ვიტამინს, ვიდრე ავოკადო. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ კარტოფილში უფრო მეტი სელენია, ვიდრე ნიგოზსა და მზესუმზირაში, ამ ბოსტნეულის რეგულარული მოხმარება ონკოლოგიური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკური საშუალებაა. გარდა ამისა, ადამიანმა შეიძლება უარი თქვას სხვადასხვა ვიტამინების კომპლექსზე, თუკი კარტოფილი მათ ყოველდღიურ რაციონში შედის — ის უზრუნველყოფს ორგანიზმს მიკროელემენტების საკმარისი რაოდენობით.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 3 | 7 | 4 | 1 | 8 | 2 | 9 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 7 | 6 | 1 |
| 8 | 7 | 4 | 6 | 3 | 9 | 2 | 1 | 5 |
| 5 | 6 | 2 | 1 | 7 | 4 | 9 | 3 | 8 |
| 1 | 3 | 9 | 8 | 2 | 5 | 6 | 7 | 4 |
| 9 | 4 | 1 | 2 | 6 | 8 | 3 | 5 | 7 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 9 | 2 |
| 7 | 2 | 5 | 4 | 9 | 3 | 1 | 8 | 6 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 5 | 1 | 6 | 4 | 3 | 2 | 8 |
| 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 5 | 6 | 1 | 4 |
| 6 | 1 | 4 | 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 5 |
| 8 | 6 | 3 | 7 | 5 | 1 | 4 | 9 | 2 |
| 2 | 9 | 1 | 8 | 4 | 6 | 5 | 3 | 7 |
| 5 | 4 | 7 | 2 | 3 | 9 | 8 | 6 | 1 |
| 4 | 2 | 9 | 6 | 1 | 8 | 7 | 5 | 3 |
| 1 | 3 | 8 | 5 | 9 | 7 | 2 | 4 | 6 |
| 7 | 5 | 6 | 4 | 2 | 3 | 1 | 8 | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | 4 | 6 | 8 | 2 | 9 | 1 | 5 |
| 1 | 2 | 9 | 7 | 4 | 5 | 3 | 8 | 6 |
| 8 | 6 | 5 | 1 | 9 | 3 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 9 | 1 | 3 | 6 | 8 | 5 | 2 | 4 |
| 4 | 8 | 6 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 | 9 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 | 1 |
| 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 7 | 4 | 9 | 8 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 5 | 6 | 1 | 7 | 3 |
| 9 | 1 | 7 | 8 | 3 | 4 | 6 | 5 | 2 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 9 | 6 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 |
| 6 | 1 | 8 | 7 | 9 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 6 | 8 | 9 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 9 | 8 | 1 | 5 | 6 | 3 | 4 | 2 | 7 |
| 5 | 7 | 6 | 4 | 2 | 8 | 9 | 1 | 3 |
| 2 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 3 | 4 | 1 |
| 1 | 6 | 5 | 3 | 4 | 2 | 7 | 9 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 9 | 1 | 7 | 2 | 5 | 6 |

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 7 | 6 | 4 | 1 | 9 | 3 | 8 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 1 | 7 | 5 |
| 9 | 8 | 1 | 3 | 7 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 9 | 5 | 8 | 7 |
| 3 | 5 | 9 | 8 | 2 | 7 | 6 | 4 | 1 |
| 1 | 7 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 8 | 3 | 6 | 9 | 5 | 2 | 7 | 1 | 4 |
| 7 | 1 | 5 | 4 | 8 | 6 | 2 | 9 | 3 |
| 2 | 9 | 4 | 7 | 1 | 3 | 8 | 5 | 6 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 8 | 7 | 9 | 6 | 1 | 5 | 2 |
| 7 | 2 | 6 | 1 | 5 | 4 | 9 | 8 | 3 |
| 1 | 5 | 9 | 3 | 2 | 8 | 4 | 7 | 6 |
| 9 | 1 | 5 | 6 | 4 | 3 | 7 | 2 | 8 |
| 2 | 8 | 3 | 9 | 1 | 7 | 6 | 4 | 5 |
| 6 | 7 | 4 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 3 | 6 | 2 | 8 | 7 | 1 | 5 | 9 | 4 |
| 8 | 4 | 7 | 5 | 6 | 9 | 2 | 3 | 1 |
| 5 | 9 | 1 | 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 7 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 2 |
| 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 2 | 7 | 1 | 5 | 8 | 6 | 4 |
| 6 | 2 | 5 | 1 | 8 | 4 | 9 | 7 | 3 |
| 3 | 4 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 1 |
| 7 | 1 | 8 | 9 | 5 | 3 | 2 | 4 | 6 |
| 2 | 5 | 3 | 4 | 6 | 7 | 1 | 9 | 8 |
| 1 | 7 | 6 | 8 | 3 | 9 | 4 | 2 | 5 |
| 8 | 9 | 4 | 5 | 2 | 1 | 6 | 3 | 7 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 3 | 5 | 7 | 6 | 2 | 1 | 4 |
| 7 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 5 | 6 | 3 |
| 4 | 1 | 6 | 2 | 9 | 5 | 3 | 7 | 8 |
| 5 | 7 | 2 | 1 | 8 | 3 | 6 | 4 | 9 |
| 8 | 3 | 9 | 7 | 6 | 4 | 1 | 5 | 2 |
| 3 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 8 | 9 | 1 |
| 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 2 | 5 | 4 | 8 | 1 | 9 | 7 | 3 | 6 |

მე-13 გვერდი: 1. ჰარაკირი; 2. დეგა; 3. ფრანსი; 4. ბევსტროგანოვი; 5. კოლბა; 6. რახტი; 7. ნეკროლოგი; 8. ფაშა; 9. ავესტა; 10. სენატი; 11. ლიხტენშტეინი; 12. გეა; 13. ომლეტი; 14. ირონია; 15. იორდანია; 16. კანიჯა; 17. ოტიტი; 18. ჯინი; 19. ნადი; 20. რომარიო; 21. რეა; 22. ორდენი; 23. რონია; 24. დანტე; 25. არხი; 26. ლეიბი; 27. ტაიბეი; 28. ბიონსე; 29. ასი; 30. აბე; 31. ეტი; 32. ნიავი; 33. დენდროლოგია; 34. იალაღი; 35. ტროა; 36. ორმოცი; 37. რაში; 38. დემნა; 39. ეირი; 40. ლეთე; 41. იუნგა; 42. არისა; 43. სერ; 44. ბახი; 45. მაჰათმა; 46. აბო; 47. სამცხე; 48. ბერსაბე; 49. ნაია; 50. მზე; 51. ჯორი; 52. ოდა; 53. ანოა; 54. მარიამ; 55. ზრო; 56. „კია“; 57. როდენი; 58. ყანწი; 59. ერატო; 60. კარავაჯო; 61. თებე; 62. ნიამეი; 63. ლეონსიო; 64. ვაქირი; 65. ჯეი ზი; 66. გრიმასა; 67. ია; 68. ნიკ; 69. ჭეო; 70. მამაი; 71. მნე; 72. დიქცია; 73. ზარინი; 74. ინრო; 75. მილა; 76. მუსკია; 77. იაბო; 78. აჭი; 79. წიე; 80. ტაუ; 81. იკაო; 82. ოდინი.

მე-16 გვერდი: 1. 1. ნარვალი; 2. რვალი; 3. ედელვაისი; 4. ევრიპიდე; 5. ვლადივოსტოკი; 6. დეტრალექსი; 7. ვაიო; 8. ქუინი; 9. მესი; 10. კარიატიდა; 11. პრიმიტიული; 12. ძელქვა; 13. მაო; 14. უმა; 15. ბი; 16. „დროება“; 17. ერბიუმი; 18. აბელი; 19. ჭინჭრაქა; 20. ეტი; 21. ბილანი; 22. იბნ; 23. ემისია; 24. იორდანე; 25. ჰერაკლე; 26. იტალია; 27. როტორი; 28. ბეიძინი; 29. ბეილი; 30. ბულვარი; 31. ორძელი; 32. რევანში; 33. ესტამპი; 34. რკო; 35. ბერეტი; 36. ხრიკი; 37. ქიმია; 38. ქუსლი; 39. ჭოროხი; 40. კირ; 41. ექოლოტი; 42. „ავატარი“; 43. ანდრე; 44. ეივე; 45. სოლ; 46. მისტიკა; 47. ნეი; 48. „არისი“; 49. ისლი; 50. ტორი; 51. ალიო; 52. არკადი; 53. ანემია; 54. ინია; 55. ინა; 56. ჯა; 57. რა; 58. კანარისი; 59. ნავოი; 60. ელარჯი; 61. ადამ; 62. „ისკრა.



1. დარტანიანის მსახური „სამ მუშკეტერში“
2. ადამიანის მკერდის და ბეჭის ძვლების შემაერთებელი ძვალი
3. ლეგენდარული ალპინისტი ... თენცინგი
4. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა
5. ჯულიეტას და რომეოს ქალაქი
6. მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
7. ყველაზე გავრცელებული მინერალი დედამიწაზე
8. მცენარის ნორჩი ღერო
9. შვილის ან ძმის ცოლი
10. ფარული დაცინვა
11. ფეხბურთის სამშობლო
12. მოსაწყენი, ერთფეროვანი სამუშაო
13. მონადირეთა საყვარელი ფრინველი
14. კლდიაშვილის „ბედნიერი“ პერსონაჟი
15. ქართული ანბანის პირველი ასო
16. სოფელი გორის რაიონში
17. მარიამობისთვე
18. ღამის ფიზიოლოგიური მდგომარეობა
19. დედალოსის ურჩი ვაჟი
20. უმაღლესი ხარისხის მინა
21. სამხრეთ ნახევარსფეროს უმაღლესი მწვერვალი
22. (ძვ.) გრძელი საბჯენი ჯოხი
23. საათის ფირფიტა
24. ჭადრაკის ქალღმერთი
25. პარტიზანული ომის სახელწოდება ესპანეთში
26. ქალაქი ჩილეში
27. ვახტანგ ჭაბუკიანის „ტიტული“
28. „კვერცხებით“ განთქმული საიუველირო ფირმა
29. გულანშაროს მთავარი „ვეფხისტყაოსანში“
30. სოფელი სენაკის რაიონში
31. მთის წაწვეტებული მწვერვალი
32. ბანქოს ერთგვარი ძველებური თამაში
33. ვულკანური წარმოშობის ფოროვანი ქანი
34. ძაღლის ჯიში
35. ივანე ტურგენევის სატრფო
36. უდიდესი ფილიპინების კუნძულებში
37. მექანიკური მუშაობის ერთეული
38. სახოტბო შეძახილი იუდეველთა ღვთისმსახურებაში
39. საოპერო პარტია
40. ვაშლის ღვინო
41. ლევან ზაქარეიშვილის ფილმი
42. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
43. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომპიუტერული ძებნის სისტემა
44. ირანული ეპოსის, „შაჰნამეს“ ავტორი
45. დალილას მიერ შეცდენილი პერსონაჟი
46. ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი ... ბორგი
47. სვაზილენდის დედაქა-ლაქი
48. საქართველოს ექსპრემიერი
49. ასკორბინის მჟავა ანუ ვიტამინი ...
50. „კაცი, რომელიც იცინის“ - პერსონაჟი
51. სასაუზმე საფრან-გეთში
52. ავეჯის მოძრავი ყუთი
53. ხშირტოტებიანი ბუჩქოვანი მცენარე
54. „ხელის ჭუჭყი“
55. სახალხო პოეტი-მომღერალი შუა აზიის ქვეყნებში
56. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
57. ტანსაცმლის ბოლოზე შიგნიდან შემოკერებული ქსოვილი
58. ბერლუსკონის სახელი
59. მარადმწვანე დეკორატიული ხე
60. ჰერაკლეს მიერ მოკლული წყლის გველი
61. ზოდიაქოს ნიშანი, იგივე ღრიანკალი
62. კატის ხმიანობა
63. ლაშა-გიორგის უკანონო შვილის, მეფე დავით VII-ის მეტსახელი
64. ამერიკელი მოდელიორი ანა ...
65. ამერიკ. ჯაზმენი ... არმსტრონგი
66. დარისპანის უფროსი ქალიშვილი (კლდიაშვილი)
67. ნორვეგიის ადმინისტრ. ტერიტორიული ერთეული
68. „ორი ხელით შესაჭმელი“ ნამცხვარი
69. ფრანგი მომღერალი ქალი
70. კრივის მოედანი
71. სპორტული ნაწარმის ფირმა
72. ინგლ. სიგრძ. საზ.
73. ცხენის გასარეკი შეძახ.
74. გაფრთხილების ტერმინი ძიუდოში
75. რენესანსის ეპოქის იტალიელი მოაზროვნე
76. გერდას მეგობარი „თოვლის დედოფალში“
77. მუსიკალუ-რი გამის VII ნოტი
78. ჩრდილოეთის ირმების ზოგადი სახელწოდება
79. სოფელი ლანჩხუთის რაიონში
80. მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი კომიკოსი
81. სათამა-შო კოჭის მთავარი გვერდი
82. ბერძნული ანბანის ასო
83. აშშ-ის შტატი
84. „მე, ბებია, ... და ილარიონი“



# უშნო მეძავის გამო მაშველები გამოიძახა

ბრიტანეთის ქალაქ სოლიჰალის მცხოვრები მამაკაცი, რომელთანაც ქალი გამოძახებით მივიდა, მისი გარეგნობით იმდენად უკმაყოფილო დარჩა, რომ სამაშველო სამსახურს მიმართა საჩივრით. პოლიციელების განცხადებით, უკმაყოფილო კლიენტის ზარი მათთან გვიან საღამოს შევიდა — მეძავი გამოძახებით რეალურად არ აღმოჩნდა ისეთი მომხიბვლელი, როგორც იგი საკუთარ თავს აღწერდა, როცა კლიენტს ურიგდებოდა. გაჩერებაზე ქალთან შეხვედრილმა მამაკაცმა უკმაყოფილება გამოთქვა, განაწყენებულმა ქალმა კი მას მანქანის გასაღები წაართვა და გაიქცა. სამაშველო სამსახურში მამაკაცს განუმარტეს, რომ მეძავს უკანონო არაფერი ჩაუდენია, აი, გართობის მსურველი კლიენტი კი, ცრუ გამოძახების გამო, შესაძლოა, ექვსი თვით გისოსებსმიღმა აღმოჩნდეს.



# ჰოროსკოპი
## 11 სექტემბერი

***ვერძი*** — ახლობლების ან მეგობრების წრეში ყოფნა და ბუნებაში გასვლა დაგეხმარებათ, დამქანცველი სამუშაო დღეების შემდეგ, ახალი ენერგიით დაიმუხტოთ.

***კურო*** — დღეს მოვლენები გეგმაზომიერად ვითარდება. თქვენგან მკვეთრი და აქტიური ჩარევა არ არის საჭირო, თუმცა, ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ, რომ უთქვენოდ არაფერი გამოვა.

***ტყუპები*** — დღის ბოლოს ტყუპებს სიურპრიზი ელის. საღამოს შესაძლოა, დაგირეკოთ ადამიანმა, ვისაც ძალიან აფასებთ, მაგრამ მასთან ახლო ურთიერთობა ადრე არ გქონიათ. მზად იყავით, შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, თუმცა მოვლენების განვითარება მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული.

***კირჩხიბი*** — მეგობრებმა რომც დაგაძალონ, დღეს სჯობს, არ მოხვდეთ დიდ კამპანიაში ან მონაწილეობა მიიღოთ მასობრივ ღონისძიებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, უსიამოვნებაში გაეხვიოთ. სჯობს, მარტო დარჩეთ და ცხოვრებისეულ პრობლემებზე იფიქროთ.

***ლომი*** — დღეს სახლში ბევრი მუშაობა მოგიწევთ, შეიძენთ ძვირფას ნივთს, შეცვლით ინტერიერს... თუმცა თქვენი ფინანსური მდგომარეობა იმდენად არასტაბილურია, რომ აჯობებს, ხარჯიც გააკონტროლოთ.

***ქალწული*** — თქვენი დღევანდელი გეგმები, შესაძლოა, ჩაიშალოს უცხო ადამიანის ძალისხმევით. არ არის გამორიცხული, რომ მოვლენების განვითარების მკვეთრი ცვლილება თქვენთვის მხოლოდ სასარგებლო იყოს. მხოლოდ იმ პირობით, რომ რაც უნდა მოხდეს, არ გამოეკიდებით წარსულს.

***სასწორი*** — დღეს თავს ნუ აარიდებთ ხმაურიან კამპანიებს და მეგობრების მხიარულ შეკრებას. მათთან ერთად დროს არა მხოლოდ მხიარულად გაატარებთ, არამედ ახალ მეგობარსაც შეიძენთ.

***მორიელი*** — დღეს საკმაოდ საეჭვო ღონისძიებაში მონაწილეობას შემოგთავაზებენ, რაც შესაძლოა, დიდი თანხის დაკარგვით დასრულდეს, თუმცა არც მოგებაა გამორიცხული. თუ ჭკვიანურად მიუდგებით საკითხს, საკმაოდ სოლიდურ თანხას იშოვით. მაგრამ გახსოვდეთ, რომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ენდოთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებისთვის დღის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ერთდროულად ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მიზანი გაქვთ დასახული, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის.

***თხის რქა*** — დღეს სიტუაციის სწორად გაანალიზების წყალობით შეძლებთ რთული მდგომარეობიდან გამოსვლას და უსიამოვნო შედეგების თავიდან აცილებას. თქვენ არა მხოლოდ საკუთარ თავს დაეხმარებით, არამედ ახლობელ ადამიანსაც.

***მერწყული*** — მერწყულები, სჯობს, დღეს არც ერთ ცხოვრებისეულ სფეროში არ აჩქარდნენ. მართალია გარშემომყოფები ცდილობენ, ტემპი მოგამატებინონ, თუმცა ეცადეთ, არ აყვეთ ემოციებს.

***თევზები*** — რაც უნდა მოხდეს, დღეს შეძლებთ „წყლიდან მშრალად ამოსვლას“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა გარისკოთ და საკუთარი რეპუტაცია ან ფინანსური კეთილდღეობა ეჭვქვეშ დააყენოთ. თუმცა, გონივრული რისკი თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეში წარმატებასთან მიგიყვანთ, ოცნება კი რეალობად გექცევათ.

# მანიკიური კარგ განწყობას გვიქმნის



მიუხედავად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური არასტაბილურობისა, სილამაზის სალონებს კლიენტები არ აკლია. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ყოველთვის ცდილობენ, უნაკლოდ გამოიყურებოდნენ და სილამაზის შენარჩუნებაზე ფულს არ ზოგავენ. მანიკიურის სალონები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან ეს სწრაფი და ხელმისაწვდომი მეთოდია, ქალმა თავი მოვლილად იგრძნოს. აკურატული და დამუშავებული ფრჩხილები ადამიანშიც დადებით ემოციებს იწვევს, უფრო მეტს, ვიდრე ახალი ვარცხნილობა ან სხვა სალონური პროცედურა.




# ცოლის გვამთან ეძინა

ვიეტნამელი მამაკაცი ისე განიცდიდა მეუღლის გარდაცვალებას, რომ საფლავიდან ამოთხარა და სახლში მასთან ერთად ეძინა. ლი ვანს ცოლი რამდენიმე წლის წინ დაეღუპა, რის გამოც ქმარს არასრულფასოვნების გრძნობა ტანჯავდა და მრავალრიცხოვანი ფსიქიკური აშლილობაც დაემართა. ბოლოს ლი ვანმა უკვე სასაფლაოზე დაიწყო ღამეების გატარება, თუმცა, როცა აცივდა, ქვრივმა ცოლის ცხედარი საფლავიდან ამოთხარა, სახლში წაიღო, ლოგინში ჩააწვინა და მის გვერდით მთელი ხუთი წელი ეძინა. გვამის გახრწნა მამაკაცს მისმა მოხერხებულობამ აარიდა — ცოლის სხეული თიხით დაფარა და შემდეგ შემოსა. ლი ვანი სახლში შესვლის უფლებას არავის აძლევდა.

# მარიხუანამ ბავშვი ეპილეფსიის შეტევისგან იხსნა



ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ექვსი წლის გოგონა შარლოტ ფიჯი ვერც დადიოდა და ვერც ლაპარაკობდა, მიოკლინიკური ეპილეფსიის გამო — არადა, დღეისთვის ამ დაავადების სამკურნალო შედეგიანი თერაპია არ არსებობს. პირველი შეტევა შარლოტას სამი თვისას დაემართა, რამაც ექიმები გააოცა, რადგან დედას მშობიარობისას არანაირი გართულება არ ჰქონია, მისი ტყუპისცალი კი სრულიად ჯანმრთელია. ნელ-ნელა შეტევების რაოდენობამ იმატა, ბოლოს კი შარლოტას აღარც სიარული შეეძლო და აღარც ლაპარაკი, თუმცა ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მშობლებმა ექსპერიმენტული მეთოდი სცადეს — საუბარია კანაფის წვენზე, რომელიც ენის ქვეშ ეწვეთება დღეში ორჯერ. მკურნალობის შედეგად, გოგონას შეტევების რაოდენობა შეუმცირდა, მოძრაობისა და მეტყველების უნარიც დაუბრუნდა. კანაფში ორი მნიშვნელოვანი შენაერთია — ტეტრაჰიდროკანაბინოლი და კანაბიდიოლი, მეცნიერთა მოსაზრებით, ეს უკანასკნელი თავის ტვინში ელექტრულ და ქიმიურ აქტივობას აქვეითებს, რაც თავის მხრივ, ეპილეფსიური შეტევების გამომწვევად ითვლება.

# დანტისტი ლენონის კლონირებას აპირებს

კანადელი სტომატოლოგი მაიკლ ჟუკი, რომელმაც ორი წლის წინ აუქციონზე „ბითლზის“ ლიდერის, ჯონ ლენონის სალეჭი კბილი იყიდა, აცხადებს, რომ სურს ამ კბილის ქსოვილებისგან დნმ-ის ნიმუში აიღოს და მუსიკოსის კლონირებისთვის გამოიყენოს. ჟუკმა ლენონის კბილი 2011 წელს ლონდონის აუქციონზე, 19,5 ათას გირვანქა სტერლინგად (დაახლოებით 31 ათასი დოლარი) შეიძინა, რომლითაც მსოფლიოში იმოგზაურა კბილის კლინიკებსა და სტომატოლოგიურ კოლეჯებში, შემდეგ კი „რელიკვია“ საკუთარ კაბინეტში გამოფინა. ადრე კანადელმა სპეციალისტმა წიგნიც დაწერა, რომელიც ცნობილი ადამიანების კბილებს მიუძღვნა. ლენონმა საკუთარი ხელით ამოღებული კბილი მოახლეს, დოტ ჯარლეტს მისცა, რომელიც მის სახლში, კენვუდში გასული საუკუნის 60-იან წლებში მუშაობდა.





# ჰოროსკოპი
## 12 სექტემბერი

***ვერძი*** — რთული დღე გელით საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. გეჩვენებათ, რომ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობთ, მაგრამ არ ღირს ნერვიულობა და ფიქრი იმაზე, რომ თქვენს შორის ყველაფერი დასრულდა.

***კურო*** — თუ დღეს დილიდანვე წასვალთ სასეირნოდ ან შორეულ მოგზაურობაში, ამით თქვენთვის შეუმჩნევლად წარმატებასაც მოიზიდავთ. ასეთი მომენტის ხელიდან გაშვება კი არ ღირს, ამიტომ შეეცადეთ, ყველაფერი გააკეთოთ, რაც თქვენზეა დამოკიდებული, რომ ფორტუნამ ზურგი არ გაქციოთ.

***ტყუპები*** — დღეს ფინანსური საკითხი შეგაწუხებთ. ნუ იძუნწებთ, რადგან სწორედ ახლა შეგიძლიათ შეიძინოთ ის, რაზეც ოცნებობდით. ამბობენ, ბედნიერებას ფულით ვერ იყიდიო, მაგრამ შენაძენი მართლაც გაგაბედნიერებთ.

***კირჩხიბი*** — დღეს გაქვთ შანსი, შეურიგდეთ ადამიანს, რომელსაც ცოტა ხნის წინათ ეჩხუბეთ. გარდა ამისა, შესანიშნავ ურთიერთობას ააწყობთ საყვარელი ადამიანის ახლობლებთან, თუკი ხასიათის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენთ.

***ლომი*** — ლომებისთვის დიდი სიურპრიზი იქნება შეხვედრა შორეულ ნათესავთან ან ძველ მეგობართან და მთელ დღეს საუბარსა და მოგონებებში გაატარებთ. შესაძლოა, მისგან რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციაც შეიტყოთ.

***ქალწული*** — დღეს ყურადღება გაფანტული გაქვთ და გიჭირთ მთავარ მიზანზე კონცენტრირება. თანაც, ახლობლები ხელს გიშლიან საკუთარი რჩევებით და დახმარების ნაცვლად, დროს გაკარგვინებენ. თქვენი ამოცანაა, ლავირება მოახდინოთ საკუთარ სურვილსა და გარშემომყოფთა რჩევებს შორის.

***სასწორი*** — დღეს ოჯახური ტრადიციები იქნება თქვენი ყურადღების ობიექტი. ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, მიხედოთ ახლობლებს, გაიხსენოთ წინაპრები და მოუაროთ ოჯახურ რელიკვიებს.

***მორიელი*** — საკუთარი წარმოჩენის სურვილი დღეს აქტიური მოქმედებებისკენ გიბიძგებთ. ნამდვილად შეძლებთ სასიამოვნოდ გააოცოთ მეგობრები სულის სიძლიერით. მთავარია, ამისთვის შესაფერისი ღონისძიება შეარჩიოთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნები დღეს, შესაძლოა, იუმორისტის როლში აღმოჩნდნენ. თქვენი სიტყვები ღიმილს გამოიწვევს იმ შემთხვევაშიც კი, როცა არც კი გიფიქრიათ ვინმეს გაცინება.

***თხის რქა*** — დღეს თქვენთვის რაღაც ახალს აითვისებთ. ეს საქმე კარგად გამოგივათ, თუკი საკუთარი ძალებისა და ნიჭის რწმენა არ დაგიკარგავთ. შეგიძლიათ სპორტის ახალი სახეობას დაეუფლოდ, უცხო ენა ან ფორტეპიანოზე დაკვრა ისწავლოთ.

***მერწყული*** — ახალი ამბავი, რასაც დღეს შეიტყობთ, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მისაღებად კარგი სტიმული იქნება. ჩანს, რაღაც მსგავსს ელოდით, მაგრამ ბოლომდე არ გჯეროდათ, რომ ასე სწრაფად მოხდებოდა ყველაფერი.

***თევზები*** — ყველაფრის საკუთარ თავზე აღებისა და გაკეთების სურვილი, შესაძლოა, დღეს წაგადგეთ. ახლობლები და მეგობრები თქვენს მხარდაჭერას საჭიროებენ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 7 | | | | 3 |
| 5 | | | | | 1 | 2 | 9 | |
| | 3 | 2 | | | | 7 | | |
| 7 | | | 8 | | 4 | | | |
| | | 8 | | 6 | | 5 | | |
| | | | 1 | | 9 | | | 6 |
| | | 7 | | | | 4 | 8 | |
| | 9 | 6 | 4 | | | | | 5 |
| 8 | | | | 1 | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | 8 | 3 | | |
| | | 3 | | | 6 | | | |
| | | | | 4 | | 1 | 7 | 6 |
| 3 | | | 9 | | | 4 | 5 | |
| | 9 | | | | | | 8 | |
| | 6 | 4 | | | 2 | | | 9 |
| 9 | 8 | 2 | | 7 | | | | |
| | | | 6 | | | 9 | | |
| | | 6 | 1 | | 9 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 9 | 1 | |
| | | | 9 | 8 | | 7 | | 4 |
| | | | 4 | | | | 6 | |
| 3 | | 9 | | 6 | 2 | | | |
| | 2 | | | | | | 9 | |
| | | | 7 | 9 | | 4 | | 2 |
| | 8 | | | | 3 | | | |
| 6 | | 3 | | 5 | 8 | | | |
| | 7 | 1 | | | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | 7 | | | | | 2 |
| | | 1 | 2 | 9 | | | 7 | |
| 3 | | | | | 8 | | | |
| 2 | | 5 | | | | | 8 | 7 |
| | | 4 | | 7 | | 3 | | |
| 7 | 3 | | | | | | 5 | 9 |
| | | | 5 | | | | | 4 |
| | 7 | | | 3 | 4 | 1 | | |
| 4 | | | | | 1 | | 3 | |

# გარდაცვალების ყველაზე უცნაური ფაქტები



**მთვარესთან „ჩახუტების“ გამო** — ჩინელი პოეტი ლი პო ქვეყნის ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარულია. ლიქიორის დიდი მოყვარული, დალევდა ხოლმე და მერე თავის უკვდავ ქმნილებებს შემთხვევით გამვლელებს უკითხავდა. ერთხელ ღამით, ის ნავიდან გადავარდა და მდინარე იანძიში დაიხრჩო. პოეტი თურმე წყალში მთვარის ანარეკლის ჩახუტებას ლამობდა.

**წვერის გამო** — ავსტრიელმა ჰანს შტაინინგერმა პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში ყველაზე გრძელი წვერისა (დაახლოებით 1,4 მეტრი) და მის გამო სიკვდილის წყალობით. 1567 წელს მის მშობლიურ ქალაქში ხანძარი გაჩნდა, ცეცხლისგან თავის დაღწევისას, სიჩქარეში გრძელი წვერის ხელში აკეცვა დაავიწყდა, ისიც ფეხებში მოედო, კაცმა წონასწორობა დაკარგა, დაეცა, კისერი მოიტეხა და გარდაიცვალა.





**„თავშეკავებულობისგან“** — დანიელი არისტოკრატი და ასტრონომი ტიხო ბრაგე ცნობილი იყო თავისი ექსცენტრულობით: წვეულებებზე მასხარა — ჯუჯა კაცი დაყვებოდა, რომელიც ტრაპეზისას მაგიდის ქვეშ იჯდა; შინაური ცხოველის რანგში საკუთარ ციხე-სიმაგრეში ლოსი ჰყავდა, დუელისას ცხვირის წვერი წააცალეს და მას შემდეგ ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებულ სპეციალურ ნიღაბს ატარებდა. ტიხო ასევე ექსცენტრულად გარდაიცვალა: 1601 წელს, ერთ-ერთი ბანკეტისას, ის ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ვერ გავიდა, რადგან ვახშმობისას საპირფარეშოში გასვლა ცუდ ტონად ითვლებოდა, რამდენიმესაათიანი მოთმენის შედეგად, შარდის ბუშტში ინფექცია განუვითარდა და ამ დაავადებამ ტიხო რამდენიმე დღეში მოკლა.



**„დირიჟორის ჯოხისგან“** — 1687 წელს, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტესთვის დაწერილი ნაწარმოების ორკესტრისთვის დირიჟორობისას ჟან-ბატისტ ლული იმდენად ემოციურად აჰყვა რიტმს დირიჟორის ჯოხით, თითი დაიზიანა, მაგრამ მედიკოსების დახმარებაზე უარი განაცხადა და რეპეტიცია განაგრძო. შედეგად, ჭრილობა გაულიზიანდა, რაც განგრენაში გადაიზარდა. მაგრამ ჯიუტმა დირიჟორმა თითის ამპუტაციაზე უარი განაცხადა, ბოლოს კი გარდაიცვალა. არადა, ბედის ირონიით, ჰიმნი, რომელსაც ის დირიჟორობდა, ლუდოვიკოს განკურნებას ეძღვნებოდა.



**დესერტის გამო** — შვედეთის მეფე ადოლფ ფრედერიკს ჭამა უყვარდა, რამაც დაღუპა 61 წლის ასაკში — იმ საღამოს მონარქის ვახშამს მისი საყვარელი ყველა კერძი წარმოადგენდა: ლობსტერები, ხიზილალა, ყვავილოვანი კომბოსტო, ყაბაყის სუპი, შებოლილი თევზი, შამპანური. მეფის საყვარელი დესერტი კი — ფუნთუშა მარციპანითა და რძით სუფრაზე 14-ჯერ მიიტანეს!

**ენის მოკვნეტისგან** — ალან პინკერტონი (1819-1884 წ.) იმით იყო ცნობილი, რომ მან დააარსა პინკერტონის დეტექტიური სააგენტო და გამოძიების წარმოების მეთოდები შეიმუშავა. ერთხელ პინკერტონს ტროტუარზე ფეხი აუცურდა, ენა მოიკვნიტა და ინფექციისგან გარდაიცვალა, რომელიც ჭრილობაში შეიჭრა.

**ფორთოხლის ქერქის გამო** — ბობი ლიჩს სიკვდილის სულაც არ ეშინოდა. 1911 წელს ის მსოფლიოში მეორე ადამიანი გახდა, ვინც ნიაგარის ჩანჩქერი გადალახა... კასრით. ამ უშიშარმა ადამიანმა სიცოცხლისთვის საშიში იმდენი ტრიუკი შეასრულა, რომ მისი სიკვდილი განსაკუთრებით სულელურად გამოიყურება. ერთ-ერთი ახალზელანდიური ქალაქის ქუჩებში სეირნობისას მას ფეხი დაუსხლტა ფორთოხლის ქერქზე და მოიტეხა, მოგვიანებით, კიდურის ამპუტაცია დასჭირდა, მაგრამ შემდეგ ჭრილობა გართულდა და ლიჩი გარდაიცვალა.

**ლაბადისგან** — 1911 წელს ფრანგმა მკერავმა ფრანც რიშელმა გადაწყვიტა, საკუთარი გამოგონება (ლაბადისა და პარაშუტის სინთეზი) გამოეცადა და ეიფელის კოშკიდან გადმოხტა. მართალია, ექსპერიმენტის დასაწყისში მანეკენის გამოყენება იგეგმებოდა, მაგრამ ბოლო წუთს გამომგონებელმა გადაწყვიტა, „პარაშუტი“ თავად გამოეცადა... გასაკვირი არ არის, რომ ეს მცდელობა მისი სიკვდილით დასრულდა.



**ბეისბოლის ბურთისგან** — Cleveland Indians-ის გუნდის მოთამაშე რეი ჩეპმენი მოწინააღმდეგე New York Yankees-ის წევრის მიერ ნასროლი ბურთით, მატჩის დროს, მოედანზევე გარდაიცვალა.

**ნაგვის გამო** — ჰომერ და ლონგლი კოლიერები ათასი წვრილმანის ცნობილი კოლექციონერები იყვნენ. ძმებს ნამდვილი ფობია სჭირდათ — ეშინოდათ რამის გადაგდების (ვაითუ, რამეში დაგვჭირდესო) და მანიაკალური გულმოდგინებით აგროვებდნენ საკუთარ სახლში თითქმის ყველაფერს — სხვადასხვა ნივთებს, ძველ გაზეთებსა და სხვა. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ქურდების შიშით დერეფნებში მინი-ხაფანგები დააგეს. 1947 წელს, პოლიციაში შესული ანონიმური ზარით გაიგეს, რომ ძმების სახლში მკვდარი ადამიანი იყო. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, სამართალდამცავებმა კოლიერებთან შეაღწიეს და ჭერამდე ნაგვით გატენილ მისაღებში ჰომერის გვამი აღმოაჩინეს, მისი ძმა კი ვერსად ნახეს. ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, როცა სახლიდან დაახლოებით 100 ტონა ნაგავი გაიტანეს, ლონგლის ცხედარიც გამოჩნდა. როგორც გაირკვა, მას პარალიზებულ ძმასთან საჭმელი მიჰქონდა, ძველი გაზეთების გვირაბში გავლისას თავისივე დაგებულ ხაფანგში გაება და მოკვდა. ჰომერი კი რამდენიმე დღის შემდეგ შიმშილისგან გარდაიცვალა.



**თოქ-შოუს დროს** — ჯერომ ირვინგ როდეილი ჯანსაღი კვების თეორიის, ორგანული მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის მომხრე იყო. 1971 წელს ტელევიზიაში თოქ-შოუზე როდეილმა ასეთი ფრაზა თქვა: ას წლამდე სიცოცხლეს ვაპირებ, თუკი შემთხვევით ტაქსი არ გამიტანსო და... იმავე წამს გულის შეტევით გარდაიცვალა.

1. ფრანგული რევოლუციური სიმღერა
2. საგვარეულოთა ისტორიის შემსწავლელი დისციპლინა
3. რიცხვი, რომელსაც 18 ნული აქვს
4. მდინარე, რომელიც იულიუს კეისარმა „გადალახა“
5. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა
6. მტკნარი წყლის დელფინი
7. იგივეა, რაც ზვიგენი
8. „შავი“ კონტინენტი
9. ქიმიური ელემენტი, მყიფე ლითონი
10. თოვლის კაცი
11. ორი ორგანიზმის თანაცხოვრება
12. დიდი მაკედონელის სახელი
13. ძალის დაკარგვა, ძლიერი სისუსტე
14. თავაშვებული ქეიფი, ღრეობა
15. ათის მომდევნო რიცხვი
16. არანამდვილი, ყალბი
17. ათენის საფეხბურთო კლუბი
18. სამოას დედაქალაქი
19. ქართული საბრძოლო ხელოვნება
20. ფულადი ჯილდო რაიმე წარმატებისათვის
21. მუსიკ. ბგერის წყვეტილად გადმოცემა
22. ფრანგი მოდელიორი
23. ერთ-ერთი ქრისტიანული საიდუმლოებათაგანი
24. ქალაქი თურქეთში, რომელსაც შუა საუკუნეებში ნიკეა ერქვა
25. I პირის ნაცვალსახ.
26. კრემიანი ნამცხვარი
27. სისხლის აღების წესი კორსიკაზე
28. ბილ გეიტსის კომპანიონი
29. თავთავიან კულტურათა ნათესი
30. „განხეთქილების ხილი“
31. საბჭოთა ილუზიონისტთა დინასტია
32. უბედურების საერთაშორ. სიგნალი
33. ქართველ ქალთა ცეკვა
34. ჭადრაკის ფიგურა
35. პოეტებისა და ყვავილების ქალაქი ირანში
36. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
37. უხეში მიტკალი
38. ქართ. სარეცხი ფხვნილის მარკა
39. (ძვ.) სურნელოვანი ნივთიერება
40. სოფელი გარდაბნის რაიონში
41. გამოუწვავი აგური
42. ბანქოს თაღლითი მოთამაშე
43. შიშველი სხეულის გამოსახულება მხატვრობაში
44. წყლის ფრინველი
45. გამადიდებელი შუშა
46. ისტორიული ოლქი საფრანგეთში
47. ინდოეთის ერთ-ერთი ოფიციალური ენა
48. რომულუსისა და რემუსის დედა ... სილვია
49. თავის ტვინის ნაწილი
50. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
51. ბლუზის მეფე ... კინგი
52. ვარსკვლავთა კრებული
53. ცხვარი ექვსი თვიდან ერთ წლამდე
54. ჯულიეტას მიჯნური
55. ათქვეფილი ცილის და შაქრის ნამცხვარი
56. ... ხუნჭუა „რეკორდში“
57. სამი წერტილი კამათელზე
58. ქალის გრძელი ვიწრო ყელსახვევი
59. კერამიკაში ხმარებული მასალა
60. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
61. უნგრული სადესერტო ღვინო



# შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

# „სიყვარულის“ ნერვი ცხვირში აღმოაჩინეს



ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა აღმოაჩინეს ყნოსვის ნერვი, რომელიც, მათი მოსაზრებით, ადამიანის ტვინში ატარებს სიგნალს ფერომონებზე. მცირე ზომის გამო ნერვი „ო“, როგორც მას სპეციალისტებმა დაარქვეს, დიდი ხნის განმავლობაში მკვლევარების ყურადღების არეში არ ხვდებოდა. „ო“-ნერვს დაბოლოება ცხვირის ღრუში აქვს და ინფორმაციას სურნელის შესახებ ტვინის იმ ნაწილს გადასცემს, რომელიც გადაამუშავებს სექსუალური ხასიათის ინფორმაციას და პოტენციური პარტნიორისგან სექსუალურ სიგნალებს გადასცემს. ადამიანებს საწინააღმდეგო სქესის ის წარმომადგენლები იზიდავენ, რომელთა სურნელიც მათისგან განსხვავებულია. ერთი ოჯახის წევრებს, ჩვეულებრივ, ერთნაირი სურნელი ახასიათებთ. სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ ნერვ „ო“-ში მიმდინარე გაუაზრებელმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობათა წარმოშობა და გაწყვეტაც. ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული სურნელის მქონე ადამიანებს უფრო დიდი შანსი აქვთ ხანგრძლივი და ბედნიერი თანაცხოვრებისა. ნერვი „ო“ ალიქვამს მხოლოდ ადამიანის ნატურალურ სურნელს — პარფიუმერიის პროდუქტები მასზე არანაირ გავლენას არ ახდენს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიამენეჯერი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699
9 771987 869003

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.